სამშაბათი, 1918 წ. თებერვლის 13 (26 № 35
წელიწადი მეოთხე

სამშაბათი 1918 წ. თებერვლის 13 (26) № 35
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსახელობით გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება მხოლოდ დღისით.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 18 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათათვის ორმაგი ფასი. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—8 მანეთი, 20×2—10 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

გერმანეთმა სახალხო კომისრების საბჭოსთან სეპარატიული ზავი შეჰკრა.—ყველა ის მიწები, რომელიც მან ბრესტში მოლაპარაკების დაწყობამდე დაიპყრა—მას რჩება.— 15 წლის განმავლობაში გერმანეთმა რუსეთიდან უბაჟოდ უნდა ზიდოს ნედლი მასალა.—რუსის ჯარებმა ფინლიანდია და უკრაინა უნდა დასტოვონ.—ვახიბ ფაშა იტყობინება: ზავის წინასწარ პირობების შესამუშავებლად საგანგებო დელეგაცია მზადაა თბილისისკენ გამოემგზავროს.—დღეს სახაზინო თეატრში ამიერ-კავკასიის სეიმი გაიხსნება.

წერილები:

ა. ასათიანი. ბოლშევიკურ ზავის შედეგები.
შ. ამირეჯიბი. ანარქია თუ აგრარული საკითხი.
ქართული პრესა. „უდიდესი მტერი".

ზ. ედილი. საინგილოს მდგომარეობა.
კორესპონდენცია. ახალციხიდან.

ეროვნულ საბჭოს ანგარიში.

ღრმად დამწუხრებული ... დავითის ასული ფორაქიშვილისა აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

იოსებ დავითის ძის ფორაქიშვილისას

ქალაქ ქუთაისში, თებერვლის 10-ს, დასაფლავების დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული.

1—105—1

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 34.

ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი

ხუთშაბათს 15 თებერვალს, 1918 წ. სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების აღსანიშნავად ვალ. შალიკაშვილი გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა

არამზადები

4 მოქმ.

მონაწილეობენ—ქალნი: ამაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე მ., ჩერქეზიშვილი; ვაჟნი: ვალ. შალიკაშვილი, გვარამძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარაღაშვილი ი., იმნაძე გ., იმედაშვილი მ., ჟღენტი ი., კობახიძე ი., მჭედლიძე ვ., ცაციშვილი ნ.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.

ბილეთები იყიდება.

3—911—1

თბ. სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

ამიერ-კავკასიის ორი დეკრეტის განსახორციელებლად: 1) სამხედრო ბეგრის მოსახდელად იწვევენ 1899 წ. დაბადებულთ და 2) აბრუნებენ ეროვნულ ნაწილებში, ვინც 1918 წლის 1-ლ იანვარს შესრულდა 25 წლისა და მათზე ნაკლებ წლოვანებს, (ე. ი. 1892 წლის 1-ლ იანვრიდან 1898 წლის 31 დეკემბრამდე დაბადებულებს) ყველა ახალგაზრდა თბილისში მცხოვრები, მოვალეა პასუხისმგებლობის შიშით სამხედრო ბეგრის მოსახდელად გამოცხადდეს თბილისის სამხედრო საკრებულოში (სასტუმრო „კავკასის" სადგომში, ერევნის მოედანზე მეორე სართულში. შესავალი გზოლიდან) ამასთანავე წარმომადგენელმა უნდა იქონიოს პასპორტი და მოწმობა: აქვს თუ არა უფლება ისარგებლოს პირველ ხარისხის შეღავათით ე. ი. ოჯახურ მდგომარეობის შესახებ მიცემული მოწმობა მილიციის უფროსისაგან ან და საუბნო კომისრისაგან.

გაწვევა მოხდება შემდეგ რიცხვებში:

1-ელ და მე-2-ე სამილიციო უბნებში მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ 15 თებერვალს, 1918 წელს, დილის 8 საათზე.

3, 4 და 5 უბნის მცხოვრებნი	დილის 8 საათზე	პარასკევს	16 თებერვალს.
6, 7 უბნის მცხოვრებნი	„ „	შაბათს	17 თებერვალს.
8, 9 უბნის მცხოვრებნი	„ „	კვირას	18 თებერვალს.
10, 11 უბნის მცხოვრებნი	„ „	ორშაბათს	19 თებერვალს.
მე-12 უბნის მცხოვრებნი	„ „	სამშაბათს	20 თებერვალს.

მაჰმადიანებს და დუხობორებს არ იწვევენ.

გაწვევა მოხდება სამობილიზაციო წესით: პირველ ხარისხის შეღავათისთვის, ოჯახის მდგომარეობაზე მოწმობა უნდა წარმოდგენილ იქმნას სამხედრო საკრებულოში, არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც დაინიშნება შესამოწმებლად თვითეულ უბანზე.

სამშაბათს, საღამოს 5 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია ერთ.-დემ. პარტიის

თბილისის კომიტეტის

კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი, თუ როგორის წესით მოხდეს კომიტეტის ახალი არჩევნები.

1—1

გაზ. „საქართველოს"

კონტორა გადავიდა

თამამშევის ქარვასლაში, ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, სასტუმრო „კავკაზის" პირდაპირ. ღიაა დილით 9 საათიდან 3 საათამდე.

იყიდება აკინძული „საქართველოს" 1915 წ. პრემია—„მერანი" და ღირს 2 მანეთი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს **ეროვნული ფონდის** გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს მიიღებს 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის—ჭლექის და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (X ი.) სხივებით, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკლებები დ'არსონვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 საათ. და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92.

თ—986—11

სამკურნალო კაბინეთი
პ. ს.
ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხეილის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

დოქტორი ...
მოსე ანტიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. ...
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
... № 17—21.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოთერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.

თ—989—11

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის ყურის ყელის და ცხვირის ავადმყოფებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, საღამოს 5-დან 7-მდე.
მისამართი: მადათოვის ქუჩა № 17. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

თ—907—3

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისით და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ჰაიმორია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

1თ—960—6

ბოლშევიკური ზავის შედეგები

რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ საბოლოოდ შეჰკრა ზავი. ჯერ იყო და ბოლშევიკები განჰრისხდნენ გერმანიის „იმპერიალისტურ მთავრობას"—თქვენ არ ეთანხმებით რუსეთის მუშების, სალდათების და გლეხების მთავრობის მოთხოვნილებას და ამის გამო ომს ვსწყვეტთ, ხოლო საზავო პირობებზე ხელს არ მოვაწერთო! ამის საპასუხოდ გერმანიის ჯარმა ორიოდე დღეში რამოდენიმე ციხე-ქალაქი დაიჭირა. რუსეთის მთავრობა იძულებული იყო საზავო მოლაპარაკების განახლება ეთხოვა, მაგრამ გერმანელებმა მას პირდაპირ გარკვეული საზავო პირობები გამოუგზავნეს და დაუყოვნებლივ მისი მიღება მოსთხოვეს. რადიო ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ ლენინის მთავრობამ ეს პირობები უცვლელად მიიღო. ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით რუსეთის ახალი საზღვრები. ლიტვა, ესტლანდია, კურლიანდია ე. ი. თითქმის მთელი ბალტიის მხარე და მთელი პოლონეთი რუსეთისთვის დაკარგულია. გერმანიის მთავრობა რუსეთს ჰპირდება, რომ ამ ქვეყნების ბედისათვის მას ტერიტორიალური პრეტენზიები არ ექნება. ასე ბუნდოვანად საზღვრის გავლება, რასაკვირველია, გერმანიას საშუალებას მისცემს ეს საზღვრები მისწი-მოსწიოს თავის სურვილისამებრ. ან რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შორის გარკვეული საზღვრის გავლებას და თითო პიკეტების დადგმას, თუ ერთი მხარე იმდენად უმწეო და უძლურია, რომ ამ საზღვრების არა თუ დაცვას, არამედ უმნიშვნელო დარღვევის ძალაც არ შესწევს.

იქნებ უზრდელი ფორმალიზმიც იყოს გერმანეთისა და რუსეთის შორის სახელმწიფოებრივი საზღვრების ჩაყრა ამ საარაკო,, ფანტასტიკური და უკონტრიბუციო" ზავის შემდგომ? ცხადია, რომ გერმანეთის ნამდვილი საზღვრები უფრო ფართე იქნება და მის ნამდვილ საზღვრებს ეს ბუნდოვანად გამოთქმული წერტილები კი არ შემოსაზღვრავს, არამედ მისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები, ძალა და ენერგია.

რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა გაჰყავს ჯარები ფინლიანდიიდან და უკრაინიდან. გერმანია, როგორც აგრეთვე სხვა ევროპის სახელმწიფოებიც ამ ქვეყნების სრულს დამოუკიდებლობას აღიარებს. რუსეთის სხვა ქვეყნებსა და ერებზე საზავო პირობები გარკვეულად არას ამბობს. ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა ოსმალეთმა სცნო და მისი წარმომადგენელი გერმანელებმაც დაიბარეს ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ ჩვენ აქამომდე რუსეთის დამფუძნებელ კრებას ვუცდიდით.

ბოლშევიკური ზავი ამ ტერიტორიული და პოლიტიკური ცვლილებებით არ განისაზღვრება. მისი სიმძიმე და მისი უკონტრიბუციობა მის მეორე ნაწილშია. 1904 წლის რუსეთ-გერმანეთის სავაჭრო ხელშეკრულობა დაუყოვნებლივ ძალაში შედის და ერთი დამატებით: 1925 წლამდე გერმანეთს დაუბრკოლებლივ გააქვს რუსეთიდან სამთამადნო სიმდიდრენი სრულიად უბაჟოთ. რუსეთი ეკონომიურად ამ ომამდისაც სუსტი და განუვითარებელი იყო. ის გერმანეთზე დიდად იყო ეკონომიურად დამოკიდებული. მაგრამ რუსეთი მაინც დიდს მთლიანს ეკონომიურს ერთეულს წარმოადგენდა და მას მრავალი საშვალებაც ჰქონდა ეკონომიურად ძლიერ ქვეყნად გადაქცეულიყო. ბოლშევიკური ზავის შემდგომ რუსეთი ისპობა არა მარტო როგორც პირველ ხარისხოვანი იმპერია—ის ეხლა მესამე ხარისხოვან ევროპის სახელმწიფოდაც ვერ ჩაითვლება. რუსეთი არ მომკვდარა, რასაკვირველია, არც თუ როგორც ერიც, არამედ როგორც სახელმწიფოც, ის არ არის პოლიტიკური ლეში, არამედ ჯერ კიდევ ცოცხალი სახელმწიფოებრივი ერთეული. მაგრამ ის მძიმედ არის დაავადებული და მისი მახლობელი ხვედრი „ავადმყოფი ადამიანის" ოსმალეთის ბედია და ასე სანამ ამ ავადმყოფს გერმანულ წამლებს მიალებინებდნენ. დიდ ერს დიდი გასაჭირის და ხანგრძლივი ავადმყოფობის ატანა შეუძლიან. ჩინეთი და ინდოეთი ათას წლობით სთვლემენ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ კაცობრიობის მოძრავი ბურთი ოდესმე ამ ქვეყნებისკენ გადავარდეს და ისტორიის ლელო ამ ერებმა სხვებზე კარგად გაიტანონ.

ლენინის ზავით დასრულდა რუსეთის სახელმწიფოებრივი ზრდა-განვითარების ხანა. ექვსი საუკუნე რუსეთის ნაწილები თავს იყრიან ძველი მოსკოვის გარშემო. უკანასკნელი ორი საუკუნე კი რუსული სახელმწიფოებრიობა შეუჩერებელ ზრდას განიცდის. პეტრე დიდმა დააფუძნა დიდი რუსეთის იმპერია არა მარტო ტერიტორიალურად, არამედ აგრეთვე პოლიტიკურად და ეკონომიურად. მან შექმნა რუსეთში მტკიცე სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა და საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ეკონომიასა და მრეწველობას. მის შემდგომ რუსეთს ახლავს საზარალო ომები და პოლიტიკური შეცდომებანი. მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიური ზრდა არ შეჩერებულა. მიუხედავ იმის და ტერიტორიულ დანაკლისს ხშირად პოლიტიკური განახლება, ან ეკონომიური სიცოცხლე მოჰყვებოდა. რუსეთის ისტორიული გზა უეცრად წყდება ამ შეტაკებით, რომელსაც კერენსკი მიაცხოვრა, მაგრამ სრულიად საზიზღრად მოიგეს ბოლშევიკებმა რუსეთის სოციალისტურ რევოლუციას ეძახიან.

მენშევიკურ-ბოლშევიკურ რევოლუციამ პოლიტიკურ განახლებისა და ეკონომიური აღორძინების ნაცვლად რუსეთი პოლიტიკურად დაშალა და ეკონომიურად სრულებით გაანადგურა და გაძარცვა. მისი პოლიტიკური ცვლილებები უფრო ხილულია, მაგრამ ეკონომიური შედეგები უფრო მძიმე და ძნელად ასატანი. რუსეთი სუსტი იყო მრეწველობით და აღებ-მიცემობით. ამ ერთი წლის რევოლუციამ რუსეთის მრეწველობა და აღებ-მიცემობა სრულიად მოსპო და გაანადგურა. ჯერ კერენსკის მთავრობამ გამოუთხარა ძირი ისედაც ომის გამო მისუსტებულ რუსეთის მრეწველობას. ბოლშევიკურმა მთავრობამ ეს სავსებით დაამთავრებინეს და ამ ჟამად რუსეთში არ დარჩენილა მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელიც შესძლებდეს საკუთარი ძალით ფეხზე დადგომას და არსებობას. ამას გარდა რუსეთს თითქმის სავსებით ეხშობა ჩრდილოეთის და სამხრეთის ზღვის გზები. პეტროგრადი ამ ჟამად რუსეთის ხელში რჩება, მაგრამ მას ამის შემდგომ ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა დაეკარგება. შავი ზღვის ჩრდილო ნაპირების უდიდეს ნაწილს, თუ მთლად არა, უკრაინა და რუმინეთი დაეპატრონებიან. ამის შემდგომ, ცხადია, რომ რუსეთი კიდევ დიდხანს ვერ შეიძლებს ფეხზე წამოდგომას ვერც პოლიტიკურად და, მით უმეტეს, ეკონომიურად.

ასეთი ზავის შემდგომ პეტროგრადის რუსეთის სავსებით ჩამოშორებას შეეცდებიან რუსეთის ის ნაწილებიც, რომლებსაც კიდევ რუსეთის ფარგლებში დარჩენის სურვილი ჰქონდათ. უფრო რუსეთის საზღვრებში დარჩენა ყველა ამ ერებს თანასწორ მოზიარედ გახდის იმ საშინელი უბედურებისა,

რომელიც რუსეთს დაატყდა მენშევიკურ-ბოლშევიკური რევოლიუციისა და ზავის მეოხებით.

მხოლოდ რუსეთისაგან დაჩქარებით გამოყოფა და გამოცალკავება, როგორც მოიქცა უკრაინა და ფინლიანდია, აი ის გზა, რომელიც ამ ერებს რუსეთის უბედურების შედეგებისაგან დაიცავს და თავისუფალი არსებობის საშუალებას მისცემს. ამ გზას ეჭვი არ არის ეხლა მაინც დაადგება კავკასია, ციმბირი, დონი და თურქესტანი.

ამით თავის თავს ეს ქვეყნები სავსებით გერმანეთის ძალა-გავლენიდან, რასაკვირველია, ვერ დაიცავენ, მის ეკონომიურ შემოქმედების ძალას ამ ომის შემდგომ ვერ აიცდენს ვერც რუსეთის ნაწილები და ვერც უფრო სამხრეთი ქვეყნები. ჩვენი და რუსეთის სხვა ერების საზრუნავი ამ ჟამად მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ მათაც ველიკოროსების ბედი არ ეწვიოთ და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნისა და განვითარების საშუალება არ მოესპოთ.

ა. ახათიანი.

ანარქია, თუ აგრარული საკითხი

საქართველოში გამეფებულ ანარქიის გამო ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია პირდაპირ თავში ურტყამს ადამიანს. მთელი ჩვენი ქვეყანა მოცულია ანარქიით, თითქმის ყოველ სოფელში ხდება მასსიური გაწყვეტა მემამულეების და დარბევა და დაწვა კარმიდამოსი იმ დროს, როდესაც ამ სასტიკ მოვლენას არაფერი საერთო არა აქვს მიწის საკითხთან, საქართველოს უმაღლესი დაწესებულება, მისი ეროვნული საბჭო, ამ ანარქიას მიწის საკითხს უკავშირებს და გამოაქვს რეზოლუცია, რომელიც პირიქით აკანონებს ამ ანარქიას, იმ საპატიო სარჩულის გამოძებნით, რომელსაც აგრარული მიზეზი ეწოდება.

რა არის თუ არა დაკანონება ანარქიისა, მის რევოლუციონურ მოვლენად ჩარიცხვა, როდესაც მშრომელ გლეხკაცობას, რომელიც მართლა დაინტერესებულია მიწის საკითხის გადაჭრით, ამ ელემენტსთან და რბევასთან საერთო არა აქვს რა, მას აწარმოებს ბოლშევიკური ნაწილი სოფლისა, ყოფილი დეზერტირები და სახლში გაშვებული სალდათები, რომელთაც ჯერ კიდევ თავის პოლკებში შეჰქონდათ დეზორგანიზაცია და უდისციპლინობა—და საბჭოს რეზოლუცია ამას აგრარულ მოძრაობას უწოდებს.

მისაღებია განა უმაღლეს ეროვნულ დაწესებულებისთვის აგრარულ საკითხის გადაწყვეტის სამართლიანი აქტი დაუკავშიროს იმ ავაზაკობას სოფლად, რაც ამ ჟამად საქართველოში ხდება? ცხადია არა და თუ საბჭომ მაინც მიიღო ასეთი რეზოლუცია, მიტომ, რომ ეს იყო ერთად-ერთი გამოსავალი მენშევიკების ფრაქციისთვის, რომელიც ერთად-ერთი აწარმოებს საბჭოს ყველა საქმეებს. ეჭვი არ არის, რომ ამ რეზოლუციით მენშევიკებმა ხელი დაიბანეს და საყვედური, რომელიც მათ უნდა მიეღოთ, როგორც მთავრობის პარტიას, რომელსაც არ ძალუძს ანარქიის ალაგმვა, აგრარულს საკითხს მოახვიეს თავზე, რომელსაც ვერც დასჯი, ვერც ციხეში ჩასვამ. აგრარული საკითხი ჩვენში რევოლუციის მთელი თორმეტი თვის განმავლობაში არსებობდა. მიწა იმ წამსვე გადავიდა ფაქტიურად გლეხკაცობის ხელში, მთავრობის დეკრეტით კი ეს აქტი დაკანონებულიც იყო, ვერვინ ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ამ ხნის განმავლობაში მემამულეებს რამე ზომებისთვის მიემართნათ, რომ აღედგინათ თავიანთი მფლობელობა მიწაზე. ისინი მოკლებულნი იყვნენ სულ უმცირეს საშუალებასაც კი, რომ ეს ჩაედინათ. და მიუხედავათ ამისა, „აგრარული" მოძრაობა მაინც არსებობს და მემამულეებს ხოცავენ. ჩვენ ვეკითხებით ეხლა ჩვენ მთავრობას, არის ეს აგრარული მოძრაობა, თუ უძლურება მთავრობის რომ, ჯერ ერთი, ვერ ლაგმავს ავაზაკობას, მეორედ კი, ვერ ახორციელებს თავის აგრარულ პროგრამას? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს არის მთავრობის უძლურება და განუხორციელებლობა იმ პროგრამისა, რომლის განხორციელებაც მას სურს. მაგრამ ასეთი გარემოება ხომ შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. ხომ შესაძლებელია რომ მის გადაწყვეტას კიდევ ათასი ობიექტიური მიზეზი გადაეღობოს წინ. ხომ შესაძლებელია, რომ რეზოლუცია, რომელიც საბჭომ მიიღო მალე ვერ გადაიქცეს აგრარულ კანონად. და ნუ თუ ხოცვა და რბევა, როგორც მიზეზი „აგრარულ მდგომარეობისა" უნდა გაგრძელდეს? არსად არის სისუსტე,

თვით რეზოლუციისა და ულტიმატუმა მათი, ვინც ხმას აძლევდა ამ რეზოლუციას. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ორი დღის სხდომა საბჭოსი, რომელსაც დასკვნად ეს რეზოლუცია მოჰყვა, ანარქიას ვერ მოსპობს და აგრარულ საკითხს ვერ გადასწყვეტს. მოთარეშენი კი თავის სისხლიან საქმეს უფრო მეტის ენთით გააკეთებენ. ეს კიდევ ცოტაა, თავიანთ სისხლიან საქმის „სახელმწიფოებრივ დასაბუთებას" მოთარეშენი სწორედ ამ რეზოლუციიდან ამოიღებენ და ანარქია უფრო გაიზრდება. საჭიროა არა მარტო აგრარული კანონი, ამაზედ ადრე საჭიროა ძლიერი ხელი მთავრობისა, რომელიც გაასუფთავებს ქვეყანას ანარქიისგან, რომ კანონმდებელს მუშაობა შეეძლოს. ამას გარდა, ერთხელ კიდევ გვსურს შევეკითხოთ ჩვენს საბჭოს, შესაძლებელია განა მთელი წოდების კანონის გარეშე დაყენება? დაიცავენ მათ ფიზიკური ამოწყვეტისგან თუ არა?

შ. ამირეჯიბი.

ქართული პრესა
უდიდესი მტერი

ქართულ ბოლშევიკურ გაზ. „ბრძოლა"-ში დაიბეჭდა ყოვლად შეუწყნარებელი წერილი. მოგვყავს უცვლელად:

„ქართველი მშრომელი ხალხი საშინელ საფრთხეს განიცდის. მას განადგურება მოელის.

ვინ ლესავს მასზე მახვილს, ვინ უმზადებს მას დედამიწის პირიდან აღგვას, სად არიან მისი მოსისხლე მტრები?

აქ არიან ისინი, ჩვენში აქვთ აგებული მათ თავისი ციხე-სიმაგრე, აქედან გვაყრიან თავზე ცეცხლ-ზარბაზნებს.

იცი, ქართველო მშრომელო ხალხო, ვინ იყო შენი უსასტიკესი, შეუბრალებელი მტერი? შენ კარგათ გახსოვს მისი სახე, ეს იყო ქართველი თავად-აზნაურობა, ქართველი მემამულეები. სად არიან ისინი, ნუ თუ მოისპენ, ნუ თუ აღარსად ბოგინობენ?

ისინი დარაზმული არიან ქართულ ეროვნულ საბჭოში, აქ მოღვაწეობენ, აქ აკეთებენ თავის სასახელო საქმეებს. საუკუნოებით ნაძარცვი, მშრომელი ხალხიდან ანაღლეტი თავადაზნაურობის ქონება მათ ქართულ ეროვნულ საბჭოს შესწირეს და თითონაც შიგ მოიკალათეს, ქართული ეროვნული საბჭო თავადაზნაურობის ციხე სიმაგრეა.

სად არიან ქართველი კონტრრევოლიუციონერები, ქართველი შავრაზმელები, ქართველი კაციჭამია ნაციონალისტები? სად აკეთებენ ისინი თავის ბნელ საქმეებს, სად ამზადებენ ხალხისთვის ახალ ბორკილებს? ქართულ ეროვნულ საბჭოში არიან ისინი შეკავშირებულნი, აქედან ღუპავენ ისინი ქართველ მშრომელ ხალხს.

ქართველი ხალხის მტერია არა რუსი, არა სომეხი, არა თათარი, ქართველი ხალხის უდიდესი მტერია ქართული ეროვნული საბჭო.

მან იმის გათავებამდე ფრონტიდან გამოიწვია ქართველი სალდათები და მით უღალატა რუსეთის მშრომელ ხალხს, რითაც მან გული აუცრუა რუსის ჯარს კავკასიის დაცვაზე. ოთხი წლის ომით განაწამებ შინ მიმავალ რუსის ჯარს, მის მაგივრათ, რომ ცდილიყო მის აქ დატოვებას, ან სტუმართ—მოყვრულად გაეცილებინა იგი, ის თავს დაესხა თავისი აფხაზავებით, აჯარა მას ისრაელი თათრის ბეგებთან შეთანხმებით და უწყალოთ დახოცა, ვინც კი ურჩობა გაბედა. მან გაწმინდა კავკასია რუსის ჯარიდან და ამით იშოვა მიზეზი საკუთარი მუდმივი ჯარის შექმნისთვის ქართველ მშრომელ ხალხზე გასაბატონებლათ. მან შეადგინა ქართული პოლკები და მათ აპირებს გარეშე და შინაურ მტრის მოგერიებას. ამ მტრებს კი ის თითონვე ქმნის, თითონვე ამზადებს მათთან შეტაკების ნიადაგს. ის უმეგობრდება თათრის ბეგებს და ამით ფიქრობს მათი ურდოების შემოსევა თავიდან აიცილოს. ის რაზმავს ქართველ ხალხს ნაციონალურათ და მით ამზადებს ნაციონალურ ომებს.

ქართული ეროვნული საბჭო დაუძინებელი მტერია მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებისა, ის მთელი ძალღონით ცდილობს დაუკარგოს ამ საბჭოებს მოპოებული გავლენა და მთელი ძალაუფლება თითონ იგდოს ხელთ ის ცდილობს გადაქცეს ქართულ მთავრობათ და თავზე დაახვდეს ქართველ ხალხს.

ის მტერია რუსეთის რევოლიუციის და მთელი ძალღონით ებრძვის მას. ის დიდი მოხარულია, რომ ყველა ნაციონალისტების წყალობით დღეს მოწყვეტილი ვართ რუსეთს და იქაურ მშრომელ ხალხთან კავშირი ვეღარ გაგვიბამს. ის ჰყოფს ქართველ ხალხს კავკასიის სხვა ერების მშრომელი ხალხიდან, მათ აუძლურებს და დაღუპვის კარამდე მიჰყავს იგი. მას ვაჭრობა აქვს გამართული სხვა ერების გაბატონებულ კლასებთან და მათთან ერთად ანაწილებს და ჰყოფს კავკასიას, რომლის მსუქანი ნაწილი თითონ უნდა ჩაიგდოს სათარეშოდ.

შორს მისი ბინძური ხელები, შორს მისი შხამ-გესლით სავსე მოღვაწეობა. ქართველ ხალხს არაფერი აქვს გასაყოფი არც სომხის, არც თათრის და არც რუსის მშრომელ ხალხთან. ქართველი ხალხი არ საჭიროებს არც იმ ვითომდა კულტურულ მოღვაწეობას, რომელსაც ხალხის გონების დასაბნელებლად ეწევა ქართული ეროვნული საბჭო. ქართველი მშრომელი ხალხი სომეხ, თათარ და რუს მშრომელ ხალხთან ერთად თვით შექმნის თავის კულტურას, რომელიც სრულიად თავისუფალი იქნება ყოველგვარი ნაციონალიზმის შხამ-გესლისაგან. ქართულ ეროვნულ საბჭოში მოკალათებული არამზადები და შარლატანები სამარცხვინო ბოძზე უნდა იქმნენ გაკრული, როგორც ხალხის დამღუპველები. უნდა დაინგრეს ეს ხალხის მტრების ბუნაგი, უნდა შეუბრალებელი ბრძოლა გამოუცხადოს მას ქართველმა ხალხმა.

გამოიბით ათასი ენა, დაჰკარით ბუკი და ნაღარა, შეანძრიეთ მთა და ბარი, აცნეთ ყველას უდიდესი საფრთხე, რომელშიაც დღეს იმყოფება ქართველი ხალხი ქართული ეროვნული საბჭოს წყალობით. ქართველი ხალხის მტერია არა რუსი, სომეხი და თათარი, ქართველ ხალხის უსაშინელესი მტერია ქართული ეროვნული საბჭო".

ასეთს საზიზღარ პროვოკაციას ეწევიან ქართველი ბოლშევიკები ქართველი ერისა და მის ეროვნული საბჭოს წინააღმდეგ!

ამის შედეგებით ისინი ალბათ დიდს ნეტარებას განიცდიან, ვინაიდან მათის ქადაგებით გამხეცებული ბრბოები თავის ერის თავისუფლებას ფეხით სთელავენ, ქალაქებს და სოფლებს ცეცხლით და მახვილით ანადგურებენ და უდანაშაულო ქალთა და ბავშვთა სისხლით ჩვენს მიწა წყალს რწყავენ.

არა ნაკლებ საგულისხმიეროა, რომ იმავე ნომერში, სადაც ეს წერილია დაბეჭდილი, მოთავსებულია სია შემომწირველთა, აი, სხვათა შორის, ვინ ავსებენ ბოლშევიკურ „ბრძოლის ფონდს".

„დ. ხხარი (შორაპნის მაზრა). ჩვენ ხხარის თანამოაზრენი, ვსცნობთ-რა ერთათ ერთ გაზეთათ „ბრძოლას", როგორც ერთგულ და ჭეშმარიტ დამცველს მშრომელ და ღარიბ-დაჩაგრ ხალხის ინტერესებისას, გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ უმნიშვნელო წვლილს მუშათა ინტერესების შეუდარ დამცველ გაზ. „ბრძოლის" ფონდის გასაძლიერებლათ.

ვგზავნით არა მიზიძულობით არამედ ვალდებულობით, რადგანაც „ბრძოლა" ჩვენი ორგანოა და ჩვენ მას უნდა ვამაგრებდეთ, როგორც იდეალურათ, ისე მატერიალურათაც.

შემომწირველთა სია: პავლე კორკოტოვი, ჩიტო პულუხოვი დავით გულდოვი, როსტომ ოვანოვმა, კოწია პაპოვმა, სარქის კორკოტოვმა, ნიკოლა კაჭკაჭოვმა, წყალობა პულუხოვმა და ბაგრატ გაჩეჩილაძემ.

სულ 12 მან. 50 კაპ. პირადად მე უღრმეს მადლობას უცხადებ ზემო ხსენებულ პირებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი გაზ. „ბრძოლის" სასარგებლოდ.

აზხ. მონდ. არშენაკ ხარაზიანცი".

კომენტარიები მეტია.

ეროვნული საბჭო

მაჭავარიანი ი. (ეროვნ. დემ.). მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენი პარტია დღიდან თავის დაარსებისა არც ერთი დღე და საათი არ ყოფილა თავად-აზნაურთა წოდების დამცველი და ფრაქციის სახელით პროტესტს ვაცხადებ თუ ზოგიერთ ორატორთა სიტყვებში ასეთი შეხედულება თითქოს გამოსჭვიოდა. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არც ერთი მომქმედი მიმართულება არ გამოხატავს ისე სწორედ და ნათლად მშრომელი გლეხობის ინტერესებს, როგორც ჩვენი პარტია და არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის თუ მიწის რეფორმას ჩვენს სამშობლოში ისეთი მიმართულება მიეცა, რომ ის მშრომელ გლეხობას არ აკმაყოფილებს და თუ ასე გაგრძელდა ვერც მომავალში დააკმაყოფილებს. ჩვენ მომხრე ვართ რადიკალურად და დაჩქარებით მიწის საკითხის გადაჭრას, მაგრამ ამასთანავე გვწამს რომ კომისარიატის დეკრეტი გლეხთა მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს და მისი განხორციელება ჩვენს გლეხობას ვერავითარ ბედნიერებას ვერ მიანიჭებს. წინააღმდეგ ამისა, ამ სახით მიწის საკითხის გადაჭრა საერთო არევ-დარევის და ანარქიის საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს.

რეზოლუციის საკითხი

უკანასკნელად ლაპარაკობს თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი. დეპუტატი თავის სიტყვაში აღნიშნავს არა ჩვეულებრივობას დღევანდელი სხდომისას და თხოულობს უბრალო საკითხს მეტისმეტად ნუ გავაბწვავებთო.

მენშევიკების რეზოლუცია

აკ. გვარჯალაძე კითხულობს რეზოლუციის მსგავს განცხადებას—ანარქია სოფლად ძლიერდება. საჭიროა მის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება. ამასთანავე საჭიროა ეხლავე გადაიჭრას აგრარული საკითხი სათანადოდ. მოეწყოს დელეგაციების გაგზავნა სოფლში, რომელნიც სათანადოდ დარაზმავენ ხალხს და შეებრძოლებიან ყოველ ხულიგანურ გამოსვლებს.

აკ. ჩხენკელის რეზოლუცია

აკ. ჩხენკელი. მე შემომაქვს რეზოლუცია, სადაც სამი მოთხოვნილება უნდა იყოს აღნიშნული. სასურველია ძლიერი მთავრობის შედგენა და დაჩქარებითი გადაჭრა ეროვნული და აგრარული საკითხისა თანახმად რუსეთის რევოლუციის პრინციპებისა.

ს.-დემოკრატიული ფრაქცია ლომთათიძის პირით უარჰყოფს ეროვნული საკითხის შეტანას ამ რეზოლუციაში.

კამათი გრძელდება.

ბოლოს, რადგან ერთი აზრის გამოტანა შეუძლებელი გახდა, ფრაქციების შესათანხმებლად სხდომა რამოდენიმე წუთით სწყდება.

შესწორებული რეზოლუცია

სხდომა იხსნება. ჩხენკელი ვრცელ სიტყვას ამბობს. აგონებს წევრებს, რომ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როდესაც მთელი ერი შეკავშირებული გამოდის. ასეთი მომენტი დღეს არის. თქვენ ერთხმად უნდა მიიღოთ ის რეზოლუცია, რომელსაც ჩვენი ფრაქცია წარმოგიდგენთ.

გვარჯალაძე კითხულობს შესწორებულ რეზოლუციას—საჭიროა მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღოს ანარქიის წინააღმდეგ. აგრარულ საკითხის მოსაგვარებლად უნდა გატარდეს ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული მიწის დეკრეტი. უნდა მოეწყოს დელეგაცია სოფლად, რომელიც დარაზმავს ხალხს და შეებრძოლება ხულიგანურ მოძრაობას სოფლად; საჭიროა. ბოროტმოქმედნი სასტიკად დაისაჯონ.

გ. რცხილაძე. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივად მთავრობა უნდა შეებრძოლოს ანარქიას. რომელ მთავრობაზეა ლაპარაკი? უკვე ვიცით, რომ დღევანდელი მთავრობა უძლურია, ამიტომ რეზოლუციის საუძველში აღნიშნული უნდა იყოს, რომ საჭიროა ძლიერი მთავრობის შედგენა.

ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ აგრარული საკითხის მუხლი შემდეგ ფორმით იყოს შეცვლილი: დაჩქარებით და რადიკალურად გადაიჭრას მიწის საკითხი თანახმად მშრომელი გლეხობის ინტერესებისა.

შესწორება დიდ კამათს იწვევს.

შ. მაზაბელი მგონია, რომ ასეთ მდგომარეობაში დღემდე ვერ გამოვიტანთ რეზოლუციას. ამიტომ ვთხოულობ, რომ იქმნას არჩეული რედაქციონური კომისია, რომელიც ითამაშებს შემარიგებელ როლს.

წინადადება უარყოფილი იქმნა.

თავმჯდომარე—ნება მიბოძეთ რეზოლუციას კენჭი ვუყაროთ.

ისმის ხმები, რომ რეზოლუციას არ უნდა კენჭის ყრა, რადგან მისი წინააღმდეგი არავინ არის, ხოლო შესწორებაა საჭირო.

ჩხენკელი. მაშ ნება მიბოძეთ კენჭი ვუყაროთ შესწორებას.

გ. რცხილაძე. პირველი შესწორება, ჩაემატოს რეზოლუციას—საჭიროა ადგილობრივი მთავრობის შედგენა.

შესწორება უმრავლესობის მიერ მიღებულ იქმნა.

ამის შემდეგ მენშევიკები თვით რეზოლუციის [illegible] ხსნიან.

ალ. ლომთათიძე (ადგილიდან) დე მათ მიიღონ თავიანთი რეზოლუცია, მაგრამ მათ გაატარონ ეს რეზოლუცია ცხოვრებაში.

ვინაიდან შეთანხმება შეუძლებელი გახდა, პ. საყვარელიძის წინადადებით სხდომა იხურება და ეს საკითხი საბოლოოდ შემდეგ კრებისთვის გადაიდება.

თებერვლის 11 სხდომა
რეზოლუციის მიღება

მენშევიკების მიერ წარმოდგენილია შემდეგი რეზოლუცია:—მოისმინა რა ეროვნულმა საბჭომ მოხსენება შესახებ ანარქიისა სოფლად, ერ. საბჭო საჭიროდ სცნობს: რევოლუციის გასამაგრებლად და სოფლად ანარქიის მოსასპობლად მთავრობამ გადადგას ენერგიული და მტკიცე ნაბიჯი. დაუყონებლივ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ გადაეცეს მშრომელ ხალხს ის ადგილ-მამულები, რომელნიც აღნიშნულია ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტში. გაგზავნილ იქმნას ხალხი სააგიტაციოდ და დიდი ყურადღება მიექცეს ხალხის შეიარაღებას, რათა სასტიკად შეებრძოლონ ყოველგვარ შავრაზმულ ანარქიულ გამოსვლებს და საზიზღარ ცარცვა-გლეჯას.

გერონტი ქიქოძე (ეროვ.-დემოკრატი). მე მომხრე ვარ სასტიკი ზომებისა, მაგრამ მგონია, რომ პოლიციურ ღონისძიებათა გვერდით საჭიროა პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმები, რომელნიც ნიადაგს გამოაცლიან გლეხების უკმაყოფილებას. უწინარეს ყოვლისა, უეჭველია, რომ ენერგიული და მტკიცე ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია დღევანდელ თბილელ მთავრობას, რომელიც თვით უენერგიო და უმწეოა. მთავრობის სახე უნდა შეიცვალოს, ის ეროვნული უნდა გახდეს და მხოლოდ მაშინ შეიძლებს ანარქიასთან შებრძოლებას. სხვა მიზეზებს გარდა ანარქიას აზრდოვებს ის გარემოებაც, რომ წარსულმა აგიტაციამ და დაპირებებმა მადა გაუღვიძეს გლეხობას. დღემდე ვერ შეიძლო მიწის საკითხის მოწესრიგება. საჭიროა, რომ გლეხობას [illegible], საფლისწულო და [illegible] მამულებისაგან ჩამორთმეული ნორმაზე ზედმეტი მამულები, მაგრამ არა უსასყიდლოდ, არამედ სამართლიან ფასებში. მერწმუნეთ რომ თქვენ ვერ შესძლებთ მიწის რეფორმის მოხდენას, თუ არ უარჰყავით მიწის უფასოდ დარიგების პრინციპი. ამ პრინციპის ცხოვრებაში განხორციელება კიდევ უფრო გააძლიერებს ანარქიას, მიტომ, რომ მამულების გაყოფის დროს თვით გლეხკაცობაში თავს იჩენს შუღლი და წინააღმდეგობა, რის ნიმუშებს ქართულს სოფელში ვხედავთ კიდეც. მე მალაპარაკებს არა წოდებრივი, არამედ სწორედ ეროვნული ინტერესები. არც ამიერ კავკასიის კომისარიატს, არც ჩვენს სამშობლოს ჯერ-ჯერობით არაფერი მოეპოვება გარდა ვალისა და ჩვენ გვინდა უაზროდ გავფანტოთ მიწის ფონდი, რომელიც შეიძლება სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ იქცეს. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ აგრარულ საკითხს უფრო რადიკალურად გადასწყვეტთ, ვიდრე ეს საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ჰქმნა? მაშინ, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობამ ჩამორთმეული მიწები გლეხებს კი არ აჩუქა, არამედ მიჰყიდა. ქართულს სოფელში დღეს დიდძალი ქაღალდის ფულია დაგროვილი, მთავრობა უნდა შეეცადოს ეს ფული როგორმე გამოასწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში არც სასურსათო კრიზისი მოისპობა; გლეხობას ფული აღარ სჭირია, რადგან გადასახადებს არ იხდის, ამიტომ არც ხორბალი და სხვა სურსათი გამოაქვს გასასყიდათ. აგრარული ანარქია და ფინანსიური თუ სასურსათო კრიზისი ერთადაა გადახლართული, ბრძნული ზომებია საჭირო რომ ეს ხლართი გაიხსნას. ჩემის აზრით რეზოლუციაში აღნიშნული უნდა იყოს ეს ორი მომენტი: ერთი მხრით ძლიერი ეროვნული მთავრობის შექმნა, მეორე მხრით ჩამორთმეული მამულების ეროვნულ ფონდათ გამოცხადება და მისი გაყიდვა გლეხობაზე ნაწილნაწილ სამართლიან ფასებში.

მ. ხაირხელი.

ზავის გარშემო

ზავი გერმანიასთან
სახალხო კომისართა საბჭოს მოწოდება

ბათუმში რადიოტელეგრამით მიიღეს სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი მოწოდება:

„მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! საბჭოთა მთავრობა ხალხმა შეჰქმნა ზავის ჩამოსაგდებად. ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭომ, წინადადებით მივმართეთ ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს, რათა მონაწილეობა მიეღოთ საერთო საზავო მოლაპარაკებაში; მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებმა უარჰყვეს ჩვენი წინადადება და მხარი დაუჭირეს დუხონინს, კალედინს, ალექსეევს, კიევის რადას და რუმინეთის მთავრობას. ამ სახით ისინი აფერხებდნენ ბრძოლას ზავისათვის. გერმანიისა და ავსტრიის მთავრობებმა, მიიღეს რა მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში, წარმოგვიდგინეს ისეთი საზავო პირობები, რომლებიც მტაცებლობის პოლიტიკაზე იყო აშენებული. სახალხო კომისართა საბჭო იმ აზრის, რომ დღეს ყოვლად შეუძლებელია რევოლუციონურ რუსეთის დაუძლურებულ სხეულისათვის ახალი ომის დაკისრება. არ მოვაწერეთ რა ხელი ანექსიონისტურ ზავის პირობებზე, ამასთანავე განვაცხადეთ, რომ ვხდებით ჯარის დემობილიზაციას და საომარ მდგომარეობას დასრულებულად ვაცხადებთ. მიუხედავად ამისა, ჰოჰენცოლერნისა და ჰაბსბურგის მთავრობამ წამოიყვანა ჯარი რევოლუციონურ რუსეთის წინააღმდეგ. გაძარცვულ-განადგურებულმა ჩვენი ჯარის ნაწილმა, რომელიც ღლამდის ფრონტზე დარჩენილა, თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად უკან დაიხია მტრის შემოტევის წინაშე. მტრის ჯარებმა დაიკავეს დვინსკი, ვენდენი, ლუცკი და წინ მოიწევენ; ამით მოსალოდნელია დიდმნიშვნელოვანი გზების გადაჭრა, რაიც შიმშილით ამოხოცავს [illegible]. ვუწევთ რა ანგარიშს ჩვენი ჯარის დაქანცულობას და სულიერ განწყობილებას, აგრეთვე მთელი ქვეყნის მდგომარეობას, სურსათისა და სატრანსპორტო საქმის არევ-დარევას, სახალხო კომისართა საბჭომ მოახდინა ახალი ცდა ჰოჰენცოლერნის ჯარის[illegible] შესაჩერებლად: მან განაცხადა თანხმობა ხელი მოაწეროს გერმანეთის მიერ წარმოდგენილ საზავო პირობებზე. ჯარისკაცებო, მუშებო და გლეხებო! ჩვენ გადავდგით ეს ჩვენთვის მეტად საძნელო ნაბიჯი, რათა უდიდეს დათმობის ფასით ვიხსნით ქვეყანა საბოლოო განადგურებისაგან და რევოლიუცია დაღუპვისაგან.

გერმანეთის მუშათა კლასი ამ საშინელს მომენტში ვერ აღმოჩნდა საკმაოდ გამბედავი და მძლავრი, რომ მას შესძლებოდა აელაგმა საკუთარი მილიტარიზმის ავაზაკური ჟინი. ამიტომ ჩვენ არ დაგვრჩენოდა რა სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მიგვეღო გერმანულ იმპერიალიზმის პირობები მანამდის, სანამ ევროპის რევოლუცია არ შესცვლის და უარჰყოფს მათ. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება გერმანეთის მთავრობის პასუხი. იგი ჯერ არც ფიქრობს პასუხი მოგვცეს; მას ალბად ჯერ უნდა რაც შეიძლება მეტი ახალი პოზიციები დაიჭიროს ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ ახლა ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ გერმანეთის მუშათა კლასი აღსდგება თავის მმართველ კლასის წინააღმდეგ, რომელმაც ჩახშო რევოლუცია. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ხრულის იმედით წინასწარ გავსჭვრიტოთ რევოლუციის განვითარება.

სახალხო კომისართა საბჭო.

1918 წ. თებ. 8.

გერმანეთის საზავო პირობები
რადიო ტელეგრამა

თებერვლის 6.

1) გერმანეთი და რუსეთი აცხადებენ, რომ ზავი შეკრულია და შემდეგში მშვიდობიანი განწყობილება იქნება მათ შორის.

2) ის ადგილები, რომელიც რუსეთის წარმომადგენლებმა ბრესტში რუქაზე აღნიშნეს და წინად რუსეთს ეკუთვნოდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ აღარ იქნება. დვინსკთან ეს ხაზი კურლანდიის აღმოსავლეთის საზღვრამდე უნდა იქნეს გადაწეული. იმ ადგილებს, რომელნიც წინად რუსეთს ეკუთვნოდა არავითარი მოვალეობა რუსეთისადმი არ ეკისრებათ. გერმანეთმა და ავსტრიამ ამ ადგილების ბედი ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეთანხმებით უნდა გადაწყვიტოს. გერმანეთი მოვალეა საყოველთაო ზავის ჩამოგდების და რუსეთის სრული დემობილიზაციის შემდეგ ზემო ნახსენები ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები დასცალოს თუ მე 3 §-ის მდგომარეობას არ შესცვლის.

3) ლიფლიანდია და ესტლანდია რუსის ჯარმა და წითელმა გვარდიამ

დაუყოვნებლივ უნდა დასტოვოს და გერმანეთის პოლიციამ უნდა დაიკავოს ვიდრე აღნიშნულ მხარეებში წესწყობილება არ უზრუნველ ჰყოფს იქ საზოგადო წესების და სახელმწიფო წესრიგს. ყველა ის მცხოვრებნი, რომელნიც პოლიტიკურ მიზეზების გამო დაატუსაღეს, დაუყოვნებლივ უნდა იქმნენ განთავისუფლებულნი.

4) რუსეთი ზავით ეკვრის უკრაინის სახალხო რესპუბლიკას. უკრაინის და ფინლიანდიის დაუყოვნებლივ სცლის რუსეთის ჯარი და წითელი გვარდია.

5) რუსეთი, რამდენადაც ამისათვის მას ძალა შესწევს, დაუყოვნებლივ უზრუნველ ჰყოფს ოსმალეთისათვის აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვრების აღდგენას დ ოსმალეთის კაპიტულიაციის გაუქმებას.

6) რუსის ჯარის და ეხლახან შედგენილი სამხედრო ნაწილების სრული დემობილიზაცია დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. რუსეთის სამხედრო გემები შავ ზღვაზე, ბალტიის ზღვაზე და ყინულოვან ოკეანეზე დაუყოვნებლივ საყოველთაო ზავის ჩამოგდებამდე ან უნდა გაიყვანონ სხვა ნავთსადგურებში და ან იარაღი აჰყარონ. მეომარ სახელმწიფოების ის სამხედრო გემები, რომლებიც რუსეთის მთავრობის გავლენაშია რუსეთის გემებად უნდა ჩაითვალოს. ბალტიის და შავ ზღვებზე სავაჭრო ნაოსნობა აღდგენილ უნდა იქნეს დროებითი საზავო პირობების თანახმად. ეს ზღვები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განთავისუფლებული ნაღმებისაგან. ყინულოვან ოკეანის ბლოკადა საყოველთაო ზავის შეკვრამდე უნდა გაგრძელდეს.

7) 1904 წლის რუსეთ-გერმანეთის სავაჭრო ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს იმ გვარად, როგორც ეს უკრაინასთან დადებულ საზავო მოლაპარაკების მე-2 წუხლის მე-11 §-შია აღნიშნული; გამონაკლისს შეადგენენ ის უპირატესობანი, რომელნიც აზიურ ქვეყნებს შეეხება. აგრეთვე უნდა აღდგენილ იქნეს მთელი პირველი ნაწილი საბოლოო საზავო ხელშეკრულობისა. ამას მიემატება საქონლის თავისუფალ გამოზიდვის და ციმბირიდან მადნეულების თავისუფალ გამოზიდვის გარანტია; დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ახალ სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, რომელსაც უკანასკნელი 1925 წლამდე უნდა ჰქონდეს ძალა.

8) უფლებრივ პოლიტიკური ურთიერთობა მოწესრიგდება გერმანეთ-რუსეთის კონვენციის აზალ მიმდინარეობის საფუძველზე, რის შესახებაც გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

მაშასადამე გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული აგრეთვე მშვიდობიან მცხოვრებლებთა ზარალის შესახებ გერმანეთის წინადადების თანახმად და სამხედრო ტყვეებზე ხარჯების ანაზღაურება რუსეთის წინადადების მიხედვით. რუსეთი შეძლების დაგვარად დაეხმარება გერმანეთის კომისიებს სამხედრო ტყვეებისა და გადმოხვეწილთა საქმეებში.

9) რუსეთი მოვალეობას სდებს, რომ შესწყვეტს ყოველივე ოფიციალ და მთავრობის მიერ ფარულად მოწყობილ აგიტაციას და პროპაგანდას ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა მთავრობების, მათ სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებათა წინააღმდეგ, თუნდაც ამ სახელმწიფოების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

10) ზემო აღნიშნული პირობები მიღებულ უნდა იქნეს 48 საათის განმავლობაში.

რუსეთის დელეგატები დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრნენ ბრესტ-ლიტოვსკში და იქ 3 დღის განმავლობაში მოაწერონ ხელი საზავო ხელშეკრულებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს საბოლოოდ 2 კვირის განმავლობაში.

ბერლინი თებერვლის 21. 1918 წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ-კიულმანი.

სახალხო კომისართა პასუხი.

ბერლინი. გერმანეთის მთავრობას. „თანახმად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის თებერვლის 24 დილის 4 საათსა და 30 წამს დადგენილებისა სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გერმანეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილ საზავო პირობები მიიღოს და დელეგატები გაგზავნოს ბრესტლიტოვსკში.

დელეგაცია გაემგზავრება ბრესტ-ლიტოვსკში თებერვლის 24 (11) 20 (სადამოს 8) საათზე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი გორბუნოვი.

სახალხო კომის. საბჭოს თავმჯ. ლენინი.

საქმეთა კომისარი ტროცკი.

ზავი ოსმალეთთან

ოსმალეთის მთავრობის პასუხი

გენერალ ოდიშელიძეს. დეპეშა ამიერ-კავკასიის კომისარიატს თებერვლის 11. გატყობინებთ უკლებლივ თებერვლის ათს მიღებულ რადიო-ტელეგრამას: არზრუმი. მის უმაღლესობას რუსეთის კავკასიის ლაშქრის უფროსს გენერალ ოდიშელიძეს. უმორჩილესად გთხოვთ ქვემო მოყვანილი დეპეშა გადასცეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ბ-ნ გეგეჭკორს. თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, მაქვს პატივი გაუწყოთ, ჩვენი მთავრობის პასუხი თქვენ წინადადებაზე, რომელიც თებერვლის ათს მე, ოსმალეთის ლაშქრის უფროსმა თებერვლის 20 (7) გადავეცი ჩვენს მთავრობას. საგანგებო დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს წინასწარი პირობები, რაც საფუძვლად დაედება საბოლოოდ ზავს ჩამოგდებას და რომელმაც უნდა ელაპარაკოს ამიერ კავკასიის მთავრობას, ეხლავე კონსტანტინეპოლიდან გამოემგზავრება თბილისისაკენ.

იმის შემდეგ, რაც უკვე მომზადებული იქნება ამნაირივე წესით წინასწარი შეთანხმება და ნიადაგი საბოლოო მოლაპარაკებისთვის ორივე მხარის წარმომადგენელნი დაუყოვნებლივ იქნებიან გამოგზავნილნი საბოლოო საზავო ორივე მხარის ასლის მისადებ ხელშეკრულობის მოსაწერად, თუ ეს ფორმა მისაღები იქნება, გთხოვთ შემატყობინოთ, რათა შეძლება მქონდეს ეს შევატყობინო იმ დელეგატებს, რომელნიც მზად არიან გამოემგზავრნენ ნაოსნით კონსტანტინეპოლიდან ბათომში. გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემს თქვენდამი მაღალ პატივისცემაში. ოსმალეთის კავკასიის ლაშქრის უფროსი ფერიკ ვეხიბ-მეჰმედ-ფა.

ომი

კავკასიის ფრონტი.

4 თებერვალს, საღამოთი, ოსმალები იმყოფებოდნენ სოფელ რუშადთან, ბაიბურთის სიახლოვეს. ქეფ-დაჭის უღელტეხილზე თოვლის ნამქერია. ერზინჯანული რაზმი მამახათუნში დაბრუნდა ფამის რაზმი, თურქებისგან შემოხვეული მალიკან-ბაშკეისკენ დაბრუნდა. ხნისის მიმართულებით სიწყნარეა. ახლად მოსული ცნობებით, ბითლისიდან ბარიონამდე გზას აკეთებენ. 8 თებერვალს მამახათუნი დასცალეს და საწყობები ააფეთქეს. გატყობინებენ დაწვრილებით ცნობებს ფამის დაცლის შესახებ: 3 თებერვალს, დილის 6 საათზე 1000 ქურთი სროლით შემოესია სოფელს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ისინი შემოიჭრნენ სოფელში და რაზმი იძულებული გახდა მალიკონში დაბრუნებულიყო. კარმუჩის მიმართულებით, ბითლისის მხრიდან ქურთები დაესხნენ ჩვენს რაზმს დაგვეზიანეს 52 კაცი. ბაიბურთის მიმართულებით, ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა დაიხია, ქურთები დაეცნენ ჩარნაკაბანს, მაგრამ მალე განდევნეს, ვანის და ხისის რაიონში ქურთებმა კარმუტი დაიპყრეს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ ხეიმში შესასვლელი ბილეთები ასე განაწილებული: ხუთი ლოჟა ქალაქის სამმართველოს; თითო ლოჟა ეროვნულ საბჭოებს; აგრეთვე ქალთა საბჭოს და ინტერნაციონალურ სამხედრო საბჭოს ორ-ორი ლოჟა; თითო დეპუტატს თითო ადგილი; კახეთის რკინის გზის კომიტეტს ხუთი ადგილი; ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს—16; მენშევიკებს—45 ბალკონსა და 60 გალერეისა; დაშნაკცაკანებს 40 ბალკონზე და 50 გალერეაში, მუსავატს—41 ბალკონზე და 20 გალერიაზე; რევოლუციონერებს 30; კადეტებსა და სომეხთა სახალხო პარტიას—16; მაჰმადიანთა სოციალისტურ ბლოკს—17; ს.-ფედერალისტებს—8 და ნაციონალ-დემოკრატებს—8; სახალხო სოციალისტებს 8.

◆ თებერვლის 10-ს მახვერპალნი. ალექსანდრეს ბაღში თებერვლის 10-ს ბოლშევიკების მიერ გამართულ მიტინგის გამო ატეხილ სროლის დროს შემდეგი პირნი დახოცილან: გ. მარტიროსიანცი, მუშა (ბოლშ.), ი. გერსამია (მილიციონერი), ზ. სიხარულიძე, მუშა (ბოლშ.), ზ. სეხნიაშვილი, ნოქარი, გ. ვართანიანი, ცნობილი პროპაგანდისტი (ბოლშ.), ამათ გარდა 14 დაჭრილი კაცი მიეყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში, რომელთა შორის 2 ჯარისკაცია. უკანასკნელთაგან 1 კაცი, გვარად პისკუნოვი, უკვე გარდაიცვალა. ამბობენ, რომ 50 კაცი კიდევ სხვები არიან დაჭრილნი და კერძო სახლებში წვანან. ამათში ნესტორ ცერცვაძესაც ასახელებენ.

◆ **მძარცველების აღმოჩენა.** ქრისტეშობისთვის ბოლო რიცხვებში სარაყამიშში გაძარცვეს ფოსტა და წაიღეს 2.600,000 მანეთამდე ფული. მძარცველები უკვე აღმოუჩენიათ და თითქმის ყველანი შეუპყრიათ. ესენი არიან: პრაპ. ს ფირცხალავა, ვ. ვაჩეიშვილი, შ. უტურიძე, ე. წირღვავა, ნ. სამანაშვილი, ლ. აბაშიძე, ნ. წერეთელი, უნტ.-ოფ. ა. კუპრაიძე, ვ. ბიბილაშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, ბ-ნი მიქელაძე და ფოჩხალიონი ი. კავთელაშვილი და ა. გოგუა. შეპყრობილებს აღმოუჩენიათ 387,846 მან. 86 კაპ. ფულად და მრავალი ძვირფასი ნივთები.

◆ **გაძარცულმა მძარცველები იპოვა.** გასულ იანვარში „სევერნი ნომრებში" შეიარაღებულმა ბრბომ გაძარცვა ყარსიდან ჩამოსული მდიდარი მესაათე ჯამბაზიანი და მისი სტუმრები. თებერვლის თერთმეტს ჯამბაზიანს ვერენის მოედანზე შეუმჩნევია თავის მძარცველები და ყვირილი აუტეხნია. მილიციონერებს შემჩნეული პირები დაუტუსაღებია და ისინი აღმოჩენილან: მ. ნიჟარაძე, მ. დგებუაძე და ა. ზარნაძე. შეპყრობილებს აღმოუჩენიათ საათები და სხვა განძეულობა.

◆ **სწავლის დაწყება.** თბილისის სასულიერო სემინარიაში 12 თებერვლიდან სწავლა დაიწყო. მოწაფეთა კომიტეტი სთხოვს ამხანაგებს მოვიდნენ დანიშნულ დროზე სასწავლებელში, ხოლო მათ, ვისაც მობილიზაცია ეხება, შეუძლიათ ჩაეწერონ თბილისის მსროლელ ბატალიონში, რომელიც სემინარიის შენობაშია მოთავსებული და სამხედრო სამსახურთან ერთად სწავლაც განაგრძონ. გაკვეთილები საღამოობით იქნება.

◆ **ხურმათი.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ მიიღო თებერვლის 11—12-ს: ფქვილი შაქარი 2 ვაგონი და ქერი 4 ვაგონი.

◆ **ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ** გამართულ საღამოს შემოსავალი იყო 7365 მან. 45 კ., გასავალი კი 6540 მ. ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩა 825 მ. და 45 კ., რაც უნივერსიტეტის საზოგადოების საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს ი. ლორთქიფანიძეს გადაეცა.

◆ **რუსის კლუბის გაძარცვა.** თებერვლის 10-ს, ღამის 12 საათზე, რუსის კლუბში 12 შეიარაღებული კაცი შესულა. ესენი ყველანი საბანქო ოთახში შეჭრილან, სადაც ამ დროს გაჩაღებული თამაში ყოფილა და დაუყვირნიათ—„ხელები ასწიეთო". შეშინებულ მოთამაშეთ ბრძანება შეუსრულებიათ. მძარცველებს აუცლიათ მოთამაშეთათვის 40 რევოლვერი, ოქროს საათები, სხვა ძვირფასი ნივთები და 60 ათას მანეთამდე ფული. შემდეგ უბრძანებიათ მოთამაშეთათვის—„იატაკზე დაწექითო", რაიც უკანასკნელებს შეუსრულებიათ. წასვლის დროს მძარცველებს უთქვამთ: „ხვალ განაგრძეთ თამაშიო!" მძარცველებს წაუღიათ ამასთანავე ქურქები და ნაბდები.

ს. ხოვლე.

◆ 7 თებერვალს, შუადღით თავს დაესხნენ ნიკო ჯავახიშვილს და საქონელიც ბოსლიდან გამოიყვანეს. პატრონმა დაინახა ბოროტმოქმედნი და თოფი ესროლა. ქურდებმა ასტეხეს საპასუხო სროლა. მილიციონერებიც დროზე მოვიდნენ. დამცემნი ტყეში მიიმალნენ. მეორე დღისით გაჩხრიკეს თავად-აზნაურთა სახლები და ყველას იარაღი ჩამოართვეს.

ს. ძევერა.

◆ იანვრის 12-ს სოფ. ძევერაში (გორის მაზ.) სეიმ ჯავახიშვილის ოჯახში სამზარზედ რუსული ენის საჯაროთ შეგროვილ იქმნა 50 მანეთი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოების მორიგი წლიური კრება დანიშნულია სამშაბათს (თებერვლის 13) სამეურნეო ბანკის დარბაზში, საღამოს 5 საათზე. კრება კანონიერად ჩაითვლება წევრების რაოდენობის მიუხედავათ. დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიათ.

◆ მათემატიკის და ფიზიკის ქართველ მასწავლებელთა კრებები სამათემატიკო და საფიზიკო ტერმინების შესამუშავებლად იმართება ქართულ გიმნაზიის შენობაში ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან ცხრა საათამდე.

◆ **ერ.-დემ. თბილ. კომიტეტის კრება.** დღეს, საღამოს 5 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია ერ.-დემოკრატ. თბილისის კომიტეტის კრება, განსახილველად საკითხისა, თუ როგორ მოხდეს კომიტეტის ახალი არჩევნები. წევრები არავის დაეგზავნება და საჭიროა დროზე მოსვლა.

◆ ქალაქის საბჭოს კრება დანიშნულია ხვალ, თებერვლის 14-ს, საღამოს 8 საათზე.

მთავრობის ცნობა

ალექსანდრეს ბაღში მომხდარ შეტაკების გამო

10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში მოხდა სამწუხარო ამბავი, რომლის შედეგი იყო რამდენიმე მოკლული და დაჭრილი. სასტიკათ შემოწმებული ცნობების თანახმათ საქმე შემდეგნაირათ იყო: როგორც მოგეხსენებათ ამიერ-კავკ. კომისარიატის დადგენილებით სტეფანე შაუმიანი და მისი სეკრეტარი კუზნეცოვი უნდა დაეპატიმრებინათ. ეს პირები ეშელონებში, რომლებიც ფრონტიდან ბრუნდებოდნენ, ავაზაკურ პროვოკაციას და სცდილობდნენ იმათი საშუალებით დასცემოდნენ თბილისს. არ ერიდებოდნენ სისხლის ღვრას, რომლებიც მოსალოდნელი იყო ამ ავაზაკურ საქციელის შედეგათ. როცა ეს ვერ შესძლეს შაუმიანმა და კუზნეცოვმა, მიმართეს თავიანთი მოქმედება შეუგნებელ ელემენტებში და ერთ და იმავე დროს იმავე მიზნით დაგზავნეს თავიანთი აგენტები გორის მაზრ. დ ქუთ. მისამხრობათ. 10 თებერვალს ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის დღეს, მიუხედავათ აკრძალვისა შეკრიბეს მიტინგი ალექსანდრეს ბაღში, სადაც სიტყვების საშუალებით შეეცადნენ მასის აღხედრებას, რომ წასულიყვნენ სეიმის გასარეკათ.

ქალაქ თბილისის დამცველმა შტაბმა მიიღო ყოველი ზომა ამის თავიდან ასაცილებლათ. შტაბის აგენტებმა დიდხანს ურჩიეს ბრბოს დაშლილიყვენ, მაგრამ არავითარმა რჩევამ არ გასჭრა, ამ დროს ბრბომ იარაღი აყარა ერთ მილიციონერს და ბრბოსაგან ვიღაცამ გაისროლა, რომლითაც მოკვდა ერთი მილიციონერი, რომელიც ურჩევდა ხალხს დაშლილიყო. ამის პასუხათ მილიციონერებმა სროლითვე უპასუხეს, რომლითაც მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი.

ამიერ-კავკ. კომისარიატი.

მთავრობის განმარტება

„კავკაზსკი რაბოჩი"-სა და „ბრძოლა"-ს დახურვის გამო

ამ უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა ზოგიერთა პირების დატუსაღებას და ბეჭდვითი ორგანოს დახურვას. ამის გამო ამიერ კავკასიის კომისარიატი აცნობებს მცხოვრებთ: ყველა იდეურ ჯგუფებს, პარტიებს და ბეჭდვითი ორგანოებს, რომლებიც გამოხატავენ ამა თუ იმ იდეურ რწმენას, თავისუფლათ შეუძლიათ, თავის თავის გამოჩენა, პროპაგანდის წარმოება. ეს ყველა თავისუფალ სახელმწიფოს უფლებრივი წყობილების უდავო ჭეშმარიტებაა. ამიერ კავკასიის კომისარიატი ყოველთვის იღებდა ზომებს ამ თავისუფლების უზრუნველსაყოფად. მაგრამ როცა თავისუფალ სიტყვის საბით მცხოვრებთ აწვდიან პროვოკაციას, ერთი-მეორეს უსისინებენ, პირადი ან ვიწრო — ჯგუფური ინტერესებით ცდილობენ გამოიწვიონ ძმათა სისხლის-ღვრა დემოკრატიის შორის და უნდათ ამაში ჩაითრიონ საბრალო ჯარისკაცები, რომლებიც 3 წლის განმავლობაში ფრონტზე ყოფნით საშინლად მოიქანცნენ და ახლა თავის სახლში მიიჩქარიან, ამიერ-კავკასიის კომისარიატს არ შეუძლია და არც აქვს უფლება არ იმოქმედოს.

„კავკაზსკი რაბოჩი", რომელიც გამოდიოდა თბილისში და მისი გამომახილი ქართულ ენაზე „ბრძოლა" პირდაპირ გარკვეულად აწარმოებდნენ წასისინებას და 8 თებერვლის ნომერში სწერდნენ: „სანამ იბანავებენ რუს-ჯარისკაცთა სისხლში აბორონცების რევოლიუციონური ორგანიზაციები და ამიერ-კავკასიის კომისარიატი".

ამ საოცარ პროვოკაციით ამ ფურცლებმა ცხადად დაგვანახეს, რომ მათ გასწყვიტეს და შეიძლება სამუდამოდაც ყოველივე კავშირი სოციალიზმთან და რევოლიუციასთან და აშკარა პოგრომულ და პროვოკატორულ ფურცლებად გადაიქცენ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი იძულებული იყო, ბოლო მოეღო ამ პროვოკაციისათვის, რომელიც იმუქრებოდა საშინელი შედეგით და დაიხურა ეს ფურცლები.

ამასთან ერთად დატყვევებულ იქმნენ ზოგიერთი პირები. ზოგიერთ მათ წინააღმდეგ იყო წამოყენებული გარკვეული ბრალდება, რომ მათ გადაიცვეს ჯარისკაცის ტანისამოსი და მოუწოდებდნენ ეშელონებს თავს დასხმოდნენ თბილისს და გადმოეგდოთ ამიერ-კავკასიის კომისარიატი. სხვებმა მოაწყეს პოგრომული გამოსვლები და მკვლელობა გორში და გორის მაზრაში, სადაც მხეცურად ჟლეტავდნენ მთელ ოჯახებს და ჯერ კიდევ გაუციებელ გვამებს ძაღლების ხროვას უგდებდნენ. საბედნიეროდ, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შეძლო მშვიდობიანის გზით ჩაექრო გორის ამბები. სხვები ცდილობდნენ განეხორციელებინათ ძველის აღდგენისა თავის პოგრომული, შავრაზმული სურვილები. რა თქმა უნდა, ამ პირთა მოღვაწეობის რაიმე იდეურ სარჩულზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, სდგას რა რევოლიუციის დარაჯად, თავის რევოლიუციონურ სინიდისის მოვალეობით მიიღო საჭირო ზომები რევოლიუციისა და მცხოვრებთა მშვიდობიანობის დასაცავად. მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეებს, ჯარისკაცებს და მუშებს აღმოუჩინონ დახმარება ამიერ-კავკასიის კომისარიატს ამ საპასუხისმგებლო მომენტში, როცა თავაშვებულ მოთამაშეთა პოლიტიკის წყალობით რუსეთის რესპუბლიკის ცა გარეშე მტრის შემოსევის შავი ღრუბლებით მოიგრგნა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

სურსათის რეკვიზიცია

თბილისში არსებობს სასტუმროებისა, მორთულ ოთახებისა, სასადილოებისა და სხვათა პატრონთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, რომელშიც ითვლება ხუთასამდე წევრი. ამ დაწესებულებას სათავეში უდგანან საქმის კარგად მცოდნე და ენერგიული პირნი, რომელნიც ყოველთვის შესაფერს ღონისძიებას ხმარობენ, რათა საზოგადოების წევრნი უზრუნველჰყონ ყოველის მხრით, განსაკუთრებით კი სანოვაგითა. იანვარში შეიძინეს საკმაოდ კვერცხი და ლობიო და დაურიგეს თავის წევრებს. ახლა კიდევ ქუთაისში შეიძინეს ასი ფუთი სიმინდის ფქვილი. ორმოცდაათი ფუთი უკვე მოვიდა თბილისში, ორმოცდა-ათსაც მოელიან ამ დღეებში. გარდა ამისა, შეძენილი აქვთ საკმაო კვერცხი და ლობიო. ეს უკანასკნელი სანოვაგე ჯერ არ წამოსულა ქუთაისიდან სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. ზემო ხსენებული მოტანილი ორმოცდა-ათი ფუთის ფქვილის გამოსატანად სადგურიდან მიიღო გამგეობამ ნება-რთვა, გაგზავნა კაცი გამოსატანათ, მაგრამ სადგურზე უთხრეს, რომ ფქვილს რეკვიზიცია უყო სასურსათო კომიტეტმაო. მიჰმართეს თხოვნით თბილისის სასურსათო კომიტეტს, მაგრამ ამაოდ, პასუხად მიიღეს, რომ ფქვილს რეკვიზიცია უყვეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასურსათო კომიტეტის გამგემ ალშვანგმა დართო გამგეობას ნება, ფქვილის მიღებისა, ამის შემდეგ იმავე ალშვანგმა ნებართვის შემდეგ რეკვიზიცია გაუკეთა ფქვილს. რით აიხსნება ეს, გამგეობას ვერ გაუგია. ნუ თუ ხუთასი წევრის წარმომადგენლების ასე აბუჩად აგდება შეიძლება?

ქალაქის თვითმმართველობა, მით უმეტეს ქალაქის თავი მოვალენი არიან ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, მით უმეტეს, რომ ეს ხუთასი მოქალაქე იხდის ქალაქის სასარგებლოდ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე

30 იანვარს, ქართულ სატეხნიკო საზოგადოების სამთო-ქიმიურ სექციაში, ინჟ. ი. ს. მეძმარიაშვილმა მოხსენება წაიკითხა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე.

მომხსენებელმა უპირველესად აღნიშნა ჩვენი ეროვნულ პოლიტიკური გამორკვევა და დასძინა, რომ საჭირო ეკონომიური თვითგამორკვევაც. ჩვენ გვიჭერია მეტად სახარბიელო ადგილი, მდიდარი და უხვად შემკული ბუნებისგან.

საქართველოს სივრცის 45 პროცენტი დაფარულია ტყეებით, [illegible] თითქმის ნახევარი საქართველოს [illegible] ტყით, რაიცა აძლიერებს „წყლის" და თეთრი ნახშირის სიმდიდრეს. საქართველოს დაგროვილ წყალს, 1 ნახევარ მილიონი ცხენის ძალაზე მეტი შეუძლია მოგვცეს და თუ მას შევადარებთ შვეიცარიას, გავიგებთ, რომ საქართველო ბევრად აჯობებს შვეიცარიას თეთრი ნახშირით, სადაც ათ სხვა და სხვა ჰიდრო-ელექტრო სადგურები იძლევიან 650.000 ცხენის ძალას, რაც საჭიროა შვეიცარიის მრეწველობისა და რკინის გზების ელექტროფიკაციისთვის.

შეეხო რა მხარის გეოლოგიურ სტრუქტურას, მომხსენებელმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ მინერალ სიმდიდრით საქართველო სჭარბობს სხვა ქვეყნებსაც. ის ვრცლად ეხება საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, რომელიც მუშავდება ახლა და რომლის ზრდასაც დიდი მომავალი ექნება.

დასასრულ მომხსენებელმა წარმოსთქვა, რომ ჩვენი სიმდიდრე უნდა ეკუთვნოდეს ჩვენივე ხალხსა და უსაცილოდ უნდა გადაეცეს თვითმართველობის ორგანოებს. აქ აღინიშნა, თუ როგორ უნდა მოეწყოს გადაცემის საქმე და როგორ უნდა სწარმოებდეს მისი მართვა-გამგეობა.

მოხსენება მეტად საგულისხმიერო გამოდგა და ხალისიანი კამათი გამოიწვია სპეციალისტებში. მსჯელობის შემდეგ აირჩიეს კომისია 3 პირისგან, (თვით მომხსენებელი, ინჟ. კორინთელი და ფირალიშვილი) რომელიც დაწვრილებით გადაჰხედავს მომხსენებლის მთავარ თეზისებს და წარუდგენს სექციის მომავალ კრებას.

მიწის საკითხი

საადგილ-მამულო კომიტეტების სხდომები.

(გაგრძელება) *)

გორის საადგილ-მამულო კომიტეტი

გორში უკვე 4 თვეა რაც არსებობს საადგილ-მამულო კომიტეტი. ამ ხნის განმავლობაში კომიტეტმა განიხილა და სათანადოთ გადასწყვიტა უმთავრესად გლეხებს შორის ატეხილი 600 საჩივარი. ამავე ხნის განმავლობაში მოეწყო ორი საუბნო კომიტეტი და რამდენიმე შემარიგებელი კამერა.

მიწები ფაქტიურად მემამულეებს ჩამოაცალეს. მემამულეების წინააღმდეგ გალაშქრება ხდება არა აგრარულ ნიადაგზე არამედ წოდებრივი და პიროვნული სიბოროტის გამო.

იშვიათად და თუ ახდენენ ტყეებს. ზოგიერთ სოფლების გლეხებმა სასოფლო ყრილობებზე შეიმუშავეს ნიხრი ხე-ტყეზე (ურემში 50 კ.—2 მანეთამდე) და თავიანთ შორის ტყის მცველები აირჩიეს, ეს ტყის მცველები, როგორც კერძო ტყეების მცველებიც, საადგილ-მამულო კომიტეტებს ემორჩილებიან. გლეხები თანახმანი არიან ხეტყით სარგებლობაზე გადიხადონ ფული მხოლოდ იმ კვალობაზე, რაც საჭიროა ტყის დასაცველად. მთებზე შეფენილ ტყეების იჯარას გლეხები არ იხდიან. დაბლობში გაფენილ ტყეების იჯარაზე უარს არ ამბობენ.

გლეხები და მიწის საკითხი

თებერვლის 3-ს თათბირი

წაიკითხეს მოხსენებები იმის შესახებ თუ როგორ უყურებენ ამა თუ იმ კუთხის გლეხები მიწის საკითხს. პირველი მოხსენება წაიკითხა ახალციხის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენელმა.

ახალციხის მაზრა

მომხსენებლის სიტყვით, ახალციხის მაზრის გლეხებს განზრახული აქვთ მიწა მემამულეთა და დიდ მამულების პატრონთან გლეხების ხარჯზე იშოვონ.

აგრარულ მოძრაობას ჯერ-ჯერობით მშვიდობიანი ხასიათი აქვს.

მემამულეებს იჯარაზე სხვა და სხვა საადგილ-მამულო სესხს არ აძლევენ. ამის მიზეზი ისაა, რომ გლეხები მიწას ისე უყურებენ, როგორც თავიანთ საკუთრებას. საადგილ-მამულო კომიტეტებს მცხოვრებთა თვალში ჯერაც არ მოუპოვებიათ სრული ნდობა. საადგილ-მამულო კომიტეტი შესდგა, მარიამობისთვის 2 ს. პირველად მისი მუშაობა წესიერად მიმდინარეობდა. იგი ცდილობდა, რომ მემამულეების ფულის მიუცემლობის გამო ექსცესები არ მომხდარიყო.

ახალციხის მაზრაში უყიდიათ მიწის

*) იხ. „საქართველო" № 33.

საკითხის შესახებ სტატისტიკურ ცნობების შეკრება მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

მთელს მაზრაში ტყეებს უდიდესი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ტყეებს მცველები ჰყავს, გლეხები დაუნდობლად სჩეხენ. ზოგიერთ შეგნებულ ადგილს უფრო შეგნებულად ეპყრობიან ტყეებს. ტყეების დასაცველად ზოგიერთ ადგილებში სცადეს სხვა და სხვა ჯგუფების დარაჯების მიჩენა, მაგრამ ამ დარაჯებმაც ტყე გაჩეხვას ვერ გადაარჩინეს. სჩეხავენ როგორც სახაზინო ტყეებს, ისე მემამულეებისას. ტყის კომისრები ვერ იჩენენ სათანადო მოქმედებას. სადგილ-მამულო კომიტეტმა არც კი იცოდა, რომ აბასთუმანში ტყის კომისარი იყო. თვით სადგილ-მამულო კომიტეტს არ შესწევს ძალა, რომ რაიმე ზომები მიიღოს.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა სადგილ-მამულო კომიტეტთან ტყის განკარგულების დაარსება, რომელსაც უნდა მიენდოს ტყის დაცვის თანამდებობანი.

სადგილ-მამულო კომიტეტს მოქმედების პირველ დღეებშივე გლეხთა და მემამულეთა მოწინააღმდეგე ინტერესებთან მოუხდა საქმის დაჭერა.

მემამულეებმა დასთმეს, გლეხები კი მიწის საკითხის გადაწყვეტას დამფუძნებელ კრების საშუალებით ელოდნენ ესლა კი გლეხები გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ამის გარდა ამ მაზრაში მიწის საკითხის გადაწყვეტა ძნელდება სხვა და სხვა გვარ მიწით სარგებლობის სისტემით და ეროვნულ სიჭრელით. ცოტა ადგილების მქონე ხევსურები შეძლებულ და დიდ მამულების მქონე გლეხებს ვერ ურიგდებიან ვერ ურიგდებიან აგრეთვე მთის და ბარის მცხოვრებნი. ყველა ეს საკითხები კომიტეტს ძნელ მდგომარეობაში აყენებენ. ადგილობრივ ძალებით ამ საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება. საჭიროა გარკვეული და ნათელი კანონი, რომლითაც გადაწყდება მიწით მფლობელობის ნორმა და მისი სახე: „საჭიროა კანონი და არა აგრარული პროპაგანდა".

არც საქმიანობა განსაზღვრულია თვით სადგილ-მამულო კომიტეტების კომპეტენცია, ამიტომ მაშინ, როდესაც თვით გლეხთა შორის ხდება შეტაკებები, კომიტეტებს არ შეუძლიათ სადაო საკითხების გადაწყვეტა. ჯერ-ჯერობით სადგილმამულო კომიტეტებს კიდევ ენდობიან, მაგრამ თუ კომიტეტებმა უფრო გარკვეული და სწორი დირექტივები არ მიიღეს—მაშინ მათი მუშაობა მხოლოდ აგრარულ პროპაგანდით განისაზღვრება და მათი ავტორიტეტიც დაეცემა. მაზრაში თავისუფლებით ტყის ჩეხვა არ მომხდარა, თუმცა ალაგ-ალაგ სამეურნეო საჭიროებათათვის კი ჰჩეხდნენ.

ბორჩალოს მაზრა

გლეხები უკვე მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწებით სარგებლობენ.

დამფუძნებელ კრებამდე გლეხები თავისუფლად მიწის ტაციობას ვერ ბედავდნენ. კრების გარეკვის შემდეგ ესეც გაბედეს. მემამულეთა მიწების დატაცებაზე გლეხებს ხშირად ჩხუბი მოსდით. სადგილმამულო კომიტეტის დაარსებამდე ამ უთანხმოებას სამაზრო კომიტეტი და შემარიგებელი კამერა არჩევდა.

სადგილმამულო კომიტეტმა მოქმედება გიორგობისთვის 15 დაიწყო. რკინის გზის სიახლოვის გამო ტყეებს ვერაგულად სჩეხენ.

ზოგიერთ ადგილებში მემამულეთა ბაღებიც გაჩეხეს: თუ გაზაფხულამდე მიწის საკითხი არ გადაწყდა, ორატორის აზრით, აუცილებლად მოხდება შეტაკება როგორც გლეხების შორის ისე მემამულეებთან.

გლეხებმა თვითნებობით მიწებს მხოლოდ მემამულეებს სტაცებენ. ამასთან მოსალოდნელია მთიელების და ბარში მცხოვრებთა შეტაკება. საჭიროა მეცხვარეების და მემამულეთა დამოკიდებულების მოწესრიგება, თორემ შესაძლოა ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზედაც გადავიდეს, რადგან მწყემსებს ფარების ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადარეკვის დროს სხვა ტომების მიჯნამოებში გავლა უხდებათ.

სიღნაღის მაზრა

მიწის საკითხის გადაწყვეტას გლეხები დამფუძნებელ კრებისაგან მოელოდნენ. კრების გარეკვის შემდეგ აგრარულ მოძრაობამ იჩინა თავი. გლეხები მემამულეებს სტაცებენ მიწებს, მაგრამ თვითონ ჩხუბი მოსდით, რადგან ჰგონიათ, რომ დამფუძნებელი კრება იმ მიწას რაც მათ ხელთ შერჩება საკუთრებად მიანიჭებს.

„ჩამონაჭრების" დატაცებამ ხომ დიდი გაუგებრობა დაბადა, როგორც მემამულეთა ისე გლეხებს შორის. იურიდიული რაობა ამ „ჩამონაჭრების"-სა, მათ სარგებლობის სახე და ექსპლოატაცია მეტად გაუგებარია, როგორც გლეხებისათვის, ისე მემამულეთათვის.

ზოგიერთი გლეხები ამ ჩამონაჭრებს თავიანთ ნებაზე იტაცებენ. სხვები კი (ამათში ზოგიერთი მემამულენიც) სადგილმამულო კომიტეტებს მიმართვენ თუ ვის უნდა გადაეცეს ეს ჩამონაჭრები. სადგილმამულო კომიტეტებს კი ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლიათ.

გლეხები სადგილმამულო კომიტეტს საერთოდ ნდობით უყურებენ. ტყეებს სამეურნეო საჭიროებათათვის სჩეხენ.

თბილისის მაზრა

სადგილმამულო კომიტეტმა ერთი თვის წინ დაიწყო მოქმედება. სააგრარო მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. ზოგიერთ ადგილებში გლეხები თავიანთ ნებაზე ხნავენ მიწებს; არ იხდიან იჯარას. უკანონოდ სტაცებენ როგორც წვრილს ისე სხვა მემამულეებს. დიღომში აგრარულმა მოძრაობამ ორგანიზაციული ხასიათი მიიღო—სოფელში შემდგარ სადგილმამულო კომიტეტმა მთელი მიწა თავის ხელში იგდო. იყოფენ ვენახებსაც. ასეთი ორგანიზაციული ხასიათი მიიღო მიწის ტაციობამ სოფ. ავჭალაში. ტყეს სჩეხვენ.

გლეხები კომიტეტს ისეთ ორგანოდ სთვლიან, რომელიც მათ მიწა უნდა მიანიჭოს.

ტრაპიზონის მდგომარეობა

ტრაპიზონში ამ უკანასკნელ დღეებში საშინელი უწესრიგობაა. ჯარისკაცები ხელს უშლიან ვაჭრობას. მათ ისეთი ატმოსფერო შექმნეს, რომ შეუძლებელი გახდა მუშაობა.

ოურ-ზაური გაძლიერების ფრონტიდან თვენემობით მოსულმა თურქესტანის ორმა პოლკმა თავისი თავი მათ გამოაცხადეს სახალხო კომისრების თანამოსაგრედ და გაილაშქრეს კომისრის ნ. მოლდავიის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა მათს რაზმებში გამოგზავრებას. თურქესტანელების გამოსვლამ ფრთები შეასხა საჭიროთა მთავრობას და დიდად აღაფრთოვანა. პირველად მათ დაარსეს სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ანარქიასთან მედგარი ბრძოლა. 27 იანვარს მათ დიდი რიხით გამოაცხადეს ამ ნება, რომლითაც სიკვდილით ემუქრებოდნენ მათ, ვინც ხელს შეუშლიდა სარევოლუციო ამოცანების შედგენას. ამით, თვითეულ ჯარისკაცს ნება ეძლეოდა გამოსულიყო ანარქიის წინააღმდეგ და ერთის დაკვრით მოეკლა ის, ვისი მოქმედება ზიანს კი მიუნახავდა. პირველი ტყვეობის დაზარალებულ მოლდავანოვს, რომელიც თავიანთ სულ მათ მიერ დაჭერილ ნიშანს. სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტთან ერთად, დაარსდა ეროვნული საბჭო, რომელშიაც შედიოდა ყველა ეროვნებათა წარმომადგენელი. წარმომადგენლებში შედიოდნენ დეპუტატები ოსმალეთა ფლოტისა, რომელიც ქალაქთან ნავთსადგომში. საბჭო კონტრიბუციით შეეკრა ოსმალეთა პარტიზანებს, რომ თუ დაჯერებდნენ ქალაქის დარბევისათვის, რათა უშიშრად მოეხდინათ ევაკუაცია და გაეხსნათ მათთვის ტრაპიზონის გზა. ამ ამბავმა ცოტად გაახარა ჯარისკაცები და მეცხოვრე ჯარებმა ეშელონებისად გადაწყვიტეს გზის თავის სამშობლოსაკენ.

საინგილოს მდგომარეობა

კახეთის რკინის გზის უწესრიგობანი.—ლეკების ახალი რაზმები.—მომკვდარი ზაქათალა.—საინგილოს ძალება.

საინგილოს ბწყალე ბედმა, მისმა ხელსაყრელ ადგილმდებარეობამ კვლავად ამოიმძიმა სურეთული მისი ნაბეისა, მის მიმქრალი მაჯისცემის და სულისკვეთების კვალად დათვალიერებისამ და იქიდან გავიმგზავრეთ. კახეთის რკინის გზის ბაქანზედ მდგდარ და გულჩაკვდარი გაგვეუბნენ იმ მხარეს საიდგანაც ჩვენი გზა სდევნებოდა, ვინ იცის შეხვეწა თუ არა ჩვენს სამშობლოში და გზაზედ ვინმე ლეკორმა ბოროტი მიუჭერებლად არ გაგიხდებიან მეთქი. ცოცხლ ფიქრების ერთი ერთმანეთზედ უფრო ძნელები მოსვენებას აღარ მაძლევდნენ, ვინ ამ დროს მომიახლოვდნენ რამდენიმე ქართული ლეკები და სალამი მომცეს—ჩვენი უკან გაუმართეს, რათა მივგეტოვებით ამდენს ხანს დევი ასეთ დროს, მომაძახეს იმათ საერთოდ.

იმათგან გავიგე, რომ საინგილოში შედარებით მშვიდობა იყო და ლეკებს უკაცრიელობასა და დარბევისა ჰქონდა სამზე ადგილი. მეტად მოსაწყენი ჩემთვის ასეთი მოულოდნელი ამბავი და გახარებული მივეჩქარე მათ ვაგონში და მოსაფრე დავიწყე.

— გთხოვთ არ მოგვშორდეთ და ჩვენთან ერთად დარჩეთ ვაგონში, მთხოვეს ერთხმივ ყველამ, ჩვენ არც ქართული ენა და არც რუსული და ბევრს გვაწუხებენ ამ კახეთის რკინის გზაზედ თქვენი ქართველები საყვედურით მეუბნებიან ლეკები, არ ვიცით რა დაუშავეთ?

მეც დავეთანხმე მათ და ერთს ვაგონში წამოვედით. მათი შიში მართალი გამოდგა. ჩამოიარეს ჯერ ქართველმა ჯარის კაცებმა და მთლად გაჩხრიკეს ჩემი თანამგზავრი ლეკები, მათ შემდეგ ჩამოიარეს სომხის ჯარისკაცებმა და რაც პირველებს გადაურჩა ის მეორეებმა შეუსრულეს. წაართვეს ლეკებს თოფის ტყვიები, თუმცა ყველას მოწმობა ჰქონდათ, წაართვეს ჩაი, შაქარი და ასე გაშინჯეს რამდენიმე არშინი მიტკალიც კი. ბევრი მუდარება დამწერთ ვიდრე ცოტაოდენს რასმეს მაინც დაუბრუნებინებდნენ.—ჩვენ ღვინისა და არაყს არა ვსვამთ, გაიძახოდნენ ლეკები, ჩვენი ერთად ერთი სასმელი ჩაი და წუთი ლხენთი არა გვრჩამ, რომ ამასაც გვართმევენ. სიტყვით გაიძახით ლეკებთან მეგობრები ვართ და საქმით კი სულ სხვასა შვრებით, ვანა ასე შეიძლება?

ბევრი მუდარების შემდეგ ერთს ლეკს, რომელსაც 20 გირვანქა შაქარი წაართვეს, ნახევარი ძლივს დაუბრუნეს, ხოლო მეორეს, რომელსაც 60 გირ. შაქარი და ერთი გირვანქა ჩაი ჰქონდა აღარაფერი მისცეს უკან. შემდეგ გავიგეთ, რომ მთელი მისი შაქარი გაიყო სხვებს და ცალიერი ხურჯინი ფანჯრიდან გადაუგდეთ. იმ ლეკს, რომელსაც პატრონები წაართვეს, უთხრეს, გურჯაანში გადაეცემით სადგურის კომისარს და ის უსათუოდ დაგიბრუნებს, რადგანაც მოწმობა აქ ნათ. მაგრამ ვერ თქვენს მტერს, გურჯაანში მივედით, მაგრამ ჩვენი ჯარისკაცები კი, რომელთაც პატრონები წაართვეს ლეკს, სადღაც გაიქრნენ და მათი ხსენება აღარსად იყო. თვალცრემლიანი წამოვიდა ჩემი თანამგზავრი ლეკი და სულ იმას გაიძახოდა, რა დაუშავეთ ქართველებს, რომ ასე სასტიკად გვექცევიან.

ეს ამბავი თურმე ყოველდღე მეორდება კახეთის რკინის გზაზედ. მეტად საგულისხმოა, რომ სასტიკი ყურადღება მიექცეს რკინის გზის მშვიდობიანობამ ამ გარემოებას, რომ ქართველთა და ლეკთა დამოკიდებულება არ გამწვავდეს, თორემ ბოლოს გვიანდა იქნება თითზედ კბენა. ჩაი-შაქრის წართმევა სრულიად უნდა აიკრძალოს და ამ მხრივ სრული თავისუფლება მიეცეს ლეკებს.

მივდივართ გზაზედ. აგერ ლეკების სოფლებიც, მთლად ხეხილში ჩაფლული სახლკარი და წითელ კრამიტიანი ბანი. ყველგან სოფლებში გაცხარებული ჯარების სწავლებაა გაჩაღებული. ლეკებს ტყვე იარაღი ლეკურ ცხენები და ჯარისკაცები მოუწყვიათ და ისინი წვრთნიან მათს ჯარისკაცებს. ყველგან სოფლებში ლოდა ზურნის ხმა ისმის, რომელნიც ჯარებს წინ უძღვიან და ამხნევებენ. ყველა ხნისას ჰხედავთ ჯარისკაცთა შორის დაწყებული 15 წლიდამ და გათავებული ძალზედ ჰე ლეკი-მერთელი, თითქოს მოხუცებულის ადამიანით. ყველგან საერთო აღფრთოვანებაა, ყველას უნდა ჯარისკაცი გახდეს, თავის სროლა ისწავლოს, ჯარების მიმოსვლას ჭვრეტს, წითელის დროშების ტრიალებს ყველგან ნახავთ დიდსა თუ პატარა სოფელში.

ქართული ზაქათალა, ლეკებისთვის საინგილოსი კი, თითქოს ამ საერთო ფერხულში არ ჩაბმულა და სოფლის ხმას არ აჰყოლია. იგი პირიქით ძალზედ დაცალიერებულა, გამოფიტულა და მიმკვდარა. საქმე იმაშია, რომ ზაქათალა თითქოს განსაკუთრებით სომხებით არის დასახლებული, რომელნიც რამდენიმე მკვლელობის შემდეგ, რომელიც აქ მოხდა, დაშინებულან და აქეთ-იქით გაქცეულ-გაფანტულან. ზოგი სრულიადაც აყრილა და სხვათა ადგილს, უფრო კი თბილისსა და თელავს, შეკედლებიან. ლეკებს არ მოსწონთ მათი აყრა და ურჩევენ დარჩენას და არ მიტოვებას ქალაქის ვაჭრობისას. მაგრამ რაკი ერთხელ დაუფრთხიათ წასვლა ველარაფერი მათ ვერ აჩერებთ და ერთი-მეორეს ბაძვით ადვილით მისდევენ. ამის გამო, რომ დღეს ზაქათალა თითქმის სრულიად დაცლილა სომხებისაგან და ქალაქიც ერთობ გამოფიტულა და მიმკვდარა. ზაქათალის ციხეც რუსის ჯარისკაცებს სავსებით მიუტოვებიათ და მათ ნაცვლად ლეკთა ჯარისკაცები სდგანან იქ დღეს.

ხალხ წუხილი გავსცილდით ზაქათალას. ეს ერთი დროს სიცოცხლით სავსე ქალაქი, რომელშიაც ალებ-მიცემობა გაჩაღებული იყო, ეხლა სრულიად მკვდარს ასრულებს წარმოადგენს. მივუახლოვდით ინგილოების ბინებს, აგერ გზაზედ ინგილოებიც გამოჩნდნენ, ურმებით ბუზ მოიქცნენ, მეურმეებს ცალს ხელში სახრეები ეჭირათ, ხოლო მეორეში მოდგრებული თოფები და სხვ მოძულებული ჟინიცოცხლად მიერეკებოდნენ საქონელს. მაშინვე მივხვდით, რომ თოფებით შეიარაღება და ისე ურმით მგზავრობა შიშით იყო გამოწვეული.

მივედით ინგილოთა დაბა კაკში, რომელიც ცენტრია ქრისტიან ინგილოებისა მთელს ოლქში. გავიგეთ დაწვრილებით აკლება რამდენიმე ბინისა და სოფელ ქოთუქლისა. ამ უკანასკნელში დამცემებს სრულებით გაურეკნიათ საქონელი და ყოველივე სარჩო სახადე ბელი რაც კი რომ მოეპოვებოდათ საბრალოებს. აღარა აქვთ აღარც რამ საჭმელი, აღარც ლოგინი და სხვა რამ ჩასაცვამ-დასახური. ბინებშიც ამ გვარადვე უთარეშნიათ და წაუღიათ ყველაფერი.

გამოტყებით უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ამ თარეშობაში არაფერი მონაწილეობა მიუღიათ მათ მეზობელ ლეკებსა და თათრებსა ე. ი. ზაქათალის ოლქში მცხოვრებლებსა, ყველა ეს აკლება მოუხდენიათ ნუხის მაზრაში სოფ. ქვრუხში მცხოვრებ მოთუშეფათ მუღალ-თათრებს, რომელნიც ცნობილნი არიან ძველადვანვე როგორც ცარცვა-გლეჯვი ხალხი. ინგილოთა მეზობელი თათრები და ლეკები კი პირიქით ყოველმხრივ ეხმარებოდნენ საბრალო ინგილოებს. და სადაც კი მოასწრეს დროზედ შეატყობინეს მოსალოდნელი უბედურობა და ამ რიგად გადარჩა აკლებას თურმე რამდენიმე სოფელი. თვით კაკის ნაწილის კომისარმაც, რომელიც გამოტყებით უნდა ვსთქვათ ენერგიულად მოქმედებდა, შეატყობინა სადაც კი მოასწრო რომ გახიზნულიყო ხალხი, რადგანაც წინდაწინ გაიგო, რომ დიდი ძალა მოდის და მისი გაჩერება და შებრძოლება შეუძლებელი გახდებოდა. მართლა დამცემთა რიცხვი ისე დიდი ყოფილა, რომ თუმცა სოფელში და ბინებში შეიარაღებული ბევრი ყოფილა, მაგრამ შებრძოლება ვერავის გაუბედნიათ. ინგილოები ისე გათამამებულან, რომ სდომებიათ თვით დაბა კაკზედაც დაცემა, მაგრამ მის დასაცველად მთელი კაკის მეზობელი თათრებიც გამოსულან. ოლქის კომისარი და კაკის წარსულებ თვით ქვრუხში წაურთმევიათ ზოგი რამ საქონელი და ავეჯეულობა და დაუბრუნებიათ პატრონებისათვის. თვით კაკის კომისარისათვის, რომელიც ესე ენერგიულად მოქმედებს, რომ დღე და ღამე არ გააჩნია და თავდადებულად ებრძვის ყაჩაღთა ბრბოებს ერთს შეტაკებაში ცხენი მოუკლავთ მისთვის და თითონაც კინაღამ მათი მსხვერპლი გამხდარა.

დღეს-დღეობით სიმშვიდეა ყველგან მთელს საინგილოში, მაგრამ ინგილოთა გულში შიში მაგრათ არის შეჭრილი, ზოგი გაიძახის საქართველოში მოგვეცენ სადმე ადგილი და იქით გადავსახლდებით. აქ აღარ გვიდგომნებათ. დიდათ არიან გულმწველნი ნაწყენნი ქართველებისაგან, არავინ მოვიდა, არავინ მოგვხედა, რამდენი ვითხოვეთ, რამდენი ტელეგრამმა გავგზავნეთ და ერთი სანუგეშო სიტყვაც არავინ მოგვწერაო. ვანა საჭირო არ იყო ერთი გამოეგზავნა ეროვნულ საბჭოს მომრიგებელი კომისია, რომ მოეგვარიგებინეთ ერთმანეთთან რათა ასეთი ლეკი დამგვართნოდათ. ჩვენი პატრონი აღარავინ არისო, ერთხმივ გაიძახიან ყველანი, ღმერთმაც დაგვივიწყა და ქართველებმაცაო.

ყველგან წუწუნი, კვნესა და ქართველებისადმი საყვედური ისმის გაუთავებელი და დაუსრულებელი.

სრული სამართლიანი არის ეს საყვედური. ამისთანა გაჭირვების დროს ერთი ინტელიგენტი არ მოიძებნება კაკში რომ უწინამძღვროს ხალხსა და გაჭირვებაში დახმარება გაუწიოს. ნახევარი ხალხი ინგილოებს საკმარისი ჰყავთ, რომელთაც თბილი ადგილები უჭირავთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში და თავის სამშობლო ქვეყანას კი ამ გაჭირვების დროსაც კი ცარიელა სიტყვითაც კი არ ეხმარებიან.

თანამგრძნობელთათვის ... ნიშნულ დღეს გამგეობამ და ... ზიო კომისიის წევრებმა დიდი ურთიდობა მიაქციეს ეროვნულ საბჭოს. დაახასიათეს რა დიდი საჭიროება დღემდე დახმარება ცოლთა და შვილთ, მაგრამ ადგილობრივი ეროვნული განყოფილებაც ინტერპრეტაციით ... საბჭოც სახლში ჰქონდათ, როგორც ახლად დაარსებული, ამიტომ მან სახარჯებლად გადასდეს 2,184 მან. დანარჩენი 1500 მ. გადაეგზავნა თბილისში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს იმ პირობით, რომ მან იქიდან 500 მ. გადასცეს ახლად დაარსებულს ქართულ უნივერსიტეტს.

მოკვეთ.

შემოწირულებანი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახაზინოდ დაწყებული 1917 წლის აგვისტოდან დღემდის.

ჯამბაზაძე ა. გ. 500 მან. ცერცვაძე გ. 200 მან. ვეილისინი ზ. 100 მან. სხვა და სხვა შემოწირ. ამიერ-კავკას. ბანკის საშუალებით 4339 მან. გამაშვილისაგან ვ. დ. 4000 მან. უცნობისაგან № № 15000 მან. ქართ. გამომცემელ ამხანაგ. 500 მან. ტარუაშვილი სოფრომ 50 მან. კ. მესხის და ა. ხოშტარიას ვექსილით მიქიელაძისგან (დადიანი ი., ნ. ჯაყელი, დ. მამულაიშვილი, ს. კვიტაშვილი, ნ. იოსელიანი, ა. ხოშტარია) 25034 მან. მღვ. მიქელაძე 100 მან. გიორგობიანი პანტ. 40 მან. ჩხეიძე დ. 11 მან. ჯაჭვაძე კ. 10 მან. სურამის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებისაგან 59 მან. მღვდ. ა. ხატისკაცისაგან 50 მან. ნინო თადეოზიძისაგან 25 მ. ბილანიშვილი 1000 მ. ნოტიოს საკრედ. ამხანაგობა 100 მან. მარტყოფის საკრედიტო ამხანაგობა 200 მან. პატარძეულის სახოგ. „პატარა კახეთი" 200 მან.

საფინანსო სექციის მდივანი ბ. გამსახურდია.

რედაქტორი **ხარიტონ შავიშვილი**

კალენდარი

სამშაბათი, თებერვლის 13

ქართულ. ღირ. მამ. ჩვენ. მარტვირინესი. კათოლ. წმ. იულიანე და მარტინიანესი. მაჰმად. ჯემადი-ულ-ავ 14 რ. ჯამადულ-ავველისა 1336 წ. ჰიჯრისა. ებრაულ. იოსიფ 14 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექმ.

კბილის ექიმმა მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა. ... ქუჩა, № 22.

35—828 76

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

წელიწადში მეთოთხმეტე. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი პავლე თეხების ძე თუმანიშვილი.

—884—6

საავადმყოფო

საექიმო ექიმ სპეციალისტებისა მუხიარული ავადმყოფებისთვის

დიდი ვენტის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ზედგინიძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ... 10—12 ს. ყოველდღე

ჯერაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახვლედიანი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფიფიაშვილი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და სამშობ. ყოველდღე 2—3 საათამდე.

ოთხმეზური—ქალთა და სამშობიარო ავად. ... ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიულ ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.

დეკანოზიშვილი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.

ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.

ალექსანოვა—კბილის ექიმი დღეგამოშ. ყოველდღე 10—12 საათამდე.

100—920—84